

K 231-322
3

კიბრიშვილი ანრიპავე



საქართველოს მთვარის ქრონიკონი

|

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
გარეთიანიგული სამხედრო პადემია



გიორგი ანჩაბაძე

საქართველოს
ომების
ქრონიკია
(1490 წლამდე)

თბილისი
1998

საქართველოს იურიდიკული

საქართველოს - წარმომადიდებელი

საქართველოს ისტორია — ომების ისტორია. საუკუნეების მანძილზე ქართველი ხილის მიმე ბრძოლით უხდებოდა თავისი ქვეყნის, კულტურისა და სახელმწიფო მიერთების დაცვა. მასი ომების ისტორია, იწყება ჩვენს ერამდე დაახლოებით წილით აღრე, თუ ათვლის წერტილად ივლებთ ისტორიულ წყაროებში შე-1100 წლით აღრე, თუ ათვლის წერტილად ივლებთ ისტორიულ წყაროებში შე-მონაცულ ცელზე აღრინდელ ცონბებს სამხედრო მოქმედებებში ქართული ტომების მონაწილეობის შესახებ.

წინამდგრად ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ომების ისტორიის ნუსხას უქველესი, ხანიდან კლასიკური შუა საუკუნეების დასასრულამდე, ანუ იმ დრო-მდე, როდესაც ფეოდალური საქართველო საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამე-ტო-სამთავროებად ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მომხდარი ომებისა და უნივერსელობანების ბრძოლების თარიღები ნაშრომში დალაგებულია ქრისტიანო-გიური თანმიმდევრობით. თარიღებს ერთვის სამხედრო მოქმედებათა მოქლე აღ-შე-რა. საქართველოს ომების ისტორია გადმოცემულია ზოგადისტორიული წრო-შე-რა. ნუსხაში აგრეთვე ჩართულია ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რო-ცეის კონტექსტში. ნუსხაში აგრეთვე ჩართულია მისი მოვლენა, რო-ცეის უშეალი არ ეხდა საქართველოს, მაგრამ დიდი გავლენა მოახდინა მის მელაც უშეალი არ ეხდა საქართველოს, მაგრამ დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ შედებე. ყოველივე ეს მეოთხელს დაეხმარება უკეთ ვაურკვეს საქართვე-ლოს ომების ხასიათში, დაუკავშიროს ისინი მისაფლიო ისტორიის მსვლელობას.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსანტებისათვის. იგი გამოიღება აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ისტორიულებს, მასწავლებლებსა და, საერთოდ, საქართველოს წარსულით დაინტერესებულ ფართო მეითხველ საზო-გადოებას.

რედაქტორი: ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
გენერალ-მაიორი თ. შებლაძე

რედაქტორი: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
ალ. გილიანიშვილი

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
დ. ფლასანია

სპე-2000
შემოჯვევულია

საქართველო
1986 წლის 1 იანვრი
სამსახური

ქ. წ. 1114 წ. ახლოს — ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-მა დაამარცხა მის სამფლობელოებში შეჭრილი 20000 მუშეკი (მესხი?), რომელსაც ხუთი მეფე მოუძღვნდათ.

ქ. წ. 1112 წ. — ტიგლათფილესერ I ლაშქრობს მისი სამეფოს ჩრდილოეთით მდებარე „ნაირის ქვეყნებში“. დაამარცხა და ტყვეღ ჩაიგდო ქართულ ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების, დიაოხის (დაიანი) მეფე სიენი, რომელიც ნაირის ქვეყნების კოალიციურ ძალებს ედგა სათავეში.

ქ. წ. 845 წ. — ასურეთის მეფე სალმანასარ III ლაშქრობს ნაირის ქვეყნებში. დაარბია ურარტუ (ვანის ტბის მიღმოებში), მიაღწია ევფრატის სათავეებს, საიდანაც დიაოხის ტერიტორია იწყებოდა. დიაოხის მეფე ასიამ სალმანასარს მორჩილება გამოუცადა და ხარკი მიართვა.

ქ. წ. IX ს-ის უკანასკნელი მეოთხედი — გაძლიერებული ურარტუს მეფე იშფუინი და მისი ეაჟი მენუა ეომებიან სამხრეთ ამიერკავკასიის ტომებს: ვიტერუს (ოძრხე?), ლუშას (ლაზები?), ქათარზას (კლარჯები). ერთ-ერთ ლაშქრობაში ურარტუელებმა გამოიყვანეს 66 საომარი ეტლი, 1460 მჩედარი და 15760 ქვეითი მეომარი. იმ დროისათვის ეს ძალიან დიდი ძალა იყო.

ქ. წ. IX ს-ის დასასრული — VIII ს-ის დასაწყისი — ურარტუს შეცვე მენუა ლაშქრობს დიაოხის წინააღმდეგ. დიაოხის მეფე უტუფურსი ბრძოლაში მარცხდება. მენუამ დაარბია დიაოხი და ხელთ იგდონ დიდალი ნადავლი. მისმა ლაშქარმა მიაღწია „სესეთის ქვეყანას“ (შავშეთი?).

ქ. წ. 785 წ. ახლოს — ურარტუს მეფე არგიშთი I, მენუას ძე, ლაშქრობს ზაბახას ქვეყანაში (ჯავახეთი); დაიძყრო აგრეთვე ვიტერუსის „სამეფო ქალაქი“ ურიეიუნი.

ქ. წ. 768 წ. ახლოს — არგიშთი I დიაოხის წინააღმდეგ ლაშქრობს. მეცვე უტუფურსი ისევ მარცხდება. ურარტუელები იპყრობენ დიაოხსა და მის მეზობელ ქვეყნებს.


ძ. წ. 750-748 წწ. — ურარტუს მეფე სარდური II ლაშქრობს ზღვისპირა ქართული გაერთიანების, კოლხას, წინააღმდევ. არბევს კურთავებული ხას ვასალურ ქვეყნებს ჭოროხის ხეობაში.

ძ. წ. 747-741 წწ. მორის — სარდური II-მ ისევ დალაშქრა კოლხა. აიღო „სამეფო ქალაქი“ ილდამუსა.

ძ. წ. VIII ს-ის დასახრული — VII ს. — აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილო კავკასიის ტრამალებიდან წამოსული მომთაბარე ხალხების — კიმირიელებისა და სკვითების შემოსევები ამიერკავკასიასა და წინა აზიაში. ამ შემოსევების შედეგად დაეცა ძელი კოლხას სამეფო და განადგურდა კავკასიელ ტომთა მრავალი დასახლებული პუნქტი.

ძ. წ. VI ს-ის დასაწყისი — ურარტუს სამეფოს განადგურება მი-დიელების მიერ. ჩრდილო ურარტუს ციხე-ქალაქები შემუსრეს სკვითებმა და ამიერკავკასიელმა (მათ შორის ქართველმა) ტომებმა.

ძ. წ. VI-III სს. — ახალი კოლხეთის სამეფო.



აგილარიაბდასია ძ. წ. IX-VII სს-ში.

1 — კიმირიელთა შემოსევა; 2 — სკვითების შემოსევა; 3 — ურარტუს საზღვარი
ძ. წ. IX ს-ში; 4 — ურარტუს საზღვარი ძ. წ. VIII-VII სს-ში.

ქვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარი — V ს. — ამიერკავკასიის მოქალაქეების ძეგლი სპარსეთის სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ქართული მოქალაქეების (კოლხები, მოსხები, ხალიბები, მოსინიკები, სასერები და სხვ.) მონაწილეობა სპარსეთის მეფეთა ლაშქრობებში.

ქვ. წ. 401 წ. — სპარსეთიდან მომავალი ბერძნი მოქირავნების დაახლოებით 10-ათასიანი რაზმის ლაშქრობა სამხრეთ-დასვლური ქართული ტომების ტერიტორიაზე (ჭოროხის ხეობა და შავიზღვისპირეთი). აფილომბრივ მოსახლეობასთან (ტაოხები, ხალიბები, კოლხები, დრილები, მოსინიკები და სხვ.) ბრძოლებში ბერძნებმა დიდი ზარალი განიცადეს. ქართული ტომების მედვარმა წინააღმდეგობამ და სამხედრო მოქმედებათა თეატრის რთულმა რელიეფმა ბერძნული სარდლობა აიძულა ბრძოლის ახალი ტაქტიკური ფორმები ექცნა: არმიის ორგანიზაციული დაყოფის საფუძველზე ჩაისახა ტაქტიკური დაყოფა.

ქვ. წ. 334-324 წწ. — ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა აღმოსავლეთში. სპარსეთის სამეფოს განადგურება და მაკედონური იმპერიის შექმნა.

ქვ. წ. IV ს-ის 20-იანი წწ. — სამხრეთ ქართულ ტომთა გაერთიანების წინამდობარი აზო, ბერძნ-მაკედონელთა დახმარებით იპყრობს მცხეთას და იმორჩილებს მტკვრის შუა წელზე მცხოვრებ ქართველ ტომებს.


ქვ. წ. 312-302 წწ. შორის — მცხეთური სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი ფარნავაზი, ეგრისის (კოლხეთის) მმართველი ქუჯისა და ჩრდილო კავკასიელი ტომების დახმარებით ამარცხებს და კლავს აზოს. ვადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მტკვრის სათავეში, არტანის ნაქალაქევთან.

ქვ. წ. 302/1 წ. — ფარნავაზმა დალაშქრა აზოს მოკავშირეთა სამფლობელოები მდ. ევფრატზე.

ქვ. წ. IV ს-ის დასასრული და III ს-ის დასაწყისი — ფარნავაზ I-ის მეფობა ქართლში. სამხედრო-აღმინისტრაციული რეფორმა — ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად.

ქვ. წ. III ს-ის პირველი ნახევარი — ქართლის მეფე საურმავს (ფარნავაზის ძეს) ერისთავები აუჯანყდნენ. საურმავსა ჩრდილო კავკამიელთა რაზმებს მოუხმო და მათი დახმარებით ამშობება ჩაატანა.

ძ. წ. III ს-ის მეორე ნახევარი — მეფე მირვან I-მა დაამარცხა ქართლში შემოჭრილი ჩრდილო კავკასიელი ტომები — დურძუჭებები (თანამედროვე ჩეჩენების და ინგუშების წინაპრები). ამ ბრძოლის აღწერაში, რომელიც „ქართლის ცხოვრებაზე“ შემოგვინახა, პირველად არის დადასტურებული ქართული სამხედრო ხელოვნების ელემენტები — საბრძოლო წყობის დაყოფა სიღრმეში და ჯარის სახეობების მიხედვით, მტრის დევნა მისი საბოლოო განადგურების მიზნით, მხედართმთავრის როლი ბრძოლაში და სხვ.



ქართლის სამეფო ზარნავაზის ხანაში

1 — ქართლის სამჯრობები; 2 — ქართლის სამეფოს საზღვარი ძ. წ. III ს-ის დასატყისში; 3 — ქართლის სამეფოზე დამკიდებული ტერიტორია.

ძ. წ. II ს-ის პირველი ნახევარი — სომებთა მეფებმა არტაშესმა და ზარებმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრეს სამხრეთის პროვინციები — ხორძენე და გოგარენე (ჭოროხის ზემო წელი, მტკვრის სათავე, ქცია-დებედას აუზი).

ძ. წ. 111-110 წწ. — კოლხეთს იპყრობს მცირე აზიის ერთ-ერთი ქვეყნის, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი.

ძ. წ. 89-63 წწ. — მითრიდატე ევპატორის ომები რომაელებთან, რომლებშიც პონტოელთა მხარეზე გამოიიდნენ ამიერკავკასიის ქვეყნები.

ნები; მათ შორის კოლხეთი (როგორც პონტოს სამეცნის შემადგენელი ნაწილი) და ქართლი (როგორც პონტოს მოკავშირე). მესამე ომში შემორჩენა რიდატე დამარცხდა და თავი მოიკლა. რომაელები ამიერკავკასიაში შემდგრადა აღვნენ.

ძვ. წ. 66-65 წწ. — რომელთა ლაშქრობა ამიერკავკასიაში გნეუს პომპეუსის სარდლობით. პომპეუსმა დაიმორჩილა სომხეთი, დაამარცხა ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ალბანები და აღმოსავლეთიდან შემოიჭრა ქართლში. ძვ. წ. 65 წ. რომაელებმა აიღეს არმაზის ციხე, მცხეთა და დაამარცხეს ქართლის ლაშქარი, მაგრამ მათ წინააღმდევ ფართო პარტიზანული მოძრაობა გაიშალა. ბოლოს პომპეუსსა და ქართლის მეფე არტაგას შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით არტაგი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა. შემდევ, იმავე 65 წელს, პომპეუსმა კოლხეთიც დაიმორჩილა.

ძვ. წ. 36 წ. — ქართლში შემოიჭრა რომაელი სარდალი პუბლიუს კანიდიუს კრასუსი და დაამარცხა რომაელთა მორჩილებიდან გამოსული ქართლის მეფე ფარნავაზ II. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ჭვლავ ერიარებინა თავი რომაელთა „მოკავშირედ“. შემდევ რომაელებმა და ქართლელებმა ალბანეთში ილაშქრეს და დაამარცხეს მისი მეფე ზობერი.

ახ. წ. 35 წ. — ქართლის მეფის ძემ, ფარსმანმა (შემდევში — მეფე ფარსმან I) დაიპყრო სომხეთი და მის ტახტზე აიყვანა თავისი ძმა მითრიდატე. პართიის მეფემ სომხეთის დასაბრუნებლად მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარი გამოგზავნა თავისი ვაჟის, ოროდის სარდლობით. ფარსმანმა პართელები სასტიკად დაამარცხა, ხოლო უფლისწული ოროდი ორთაბრძოლაში მძიმედ დაჭრა.

51 წ. — ფარსმან I-ის ნებართვით, მისი ვაჟი რადამისტი სომხეთში შეიჭრა და ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ბიძა, მითრიდატე. რადამისტი სომხეთის მეფე გახდა, მაგრამ დიდხანს ვერ იმეფა, რადგან მას დაუპირისპირდნენ როგორც სომეხი დიდებულები, ასევე პართიის მეფე.

58 წ. — ფარსმან I-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელ სარდალს კორბულონს, რომელიც სომხეთში პართელებს ეომებოდა. სამაგიეროდ, რომაელებმა ფარსმანს გადასცეს სომხეთის ქართლთან მოსაზღვრე ილქები.

69 წ. — აჯანყება რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ პონტოსადა
კოლხეთში, ანიკეტის ხელმძღვანელობით. აჯანყებულებმა გაანადგურებიან
რომაელთა ძლიერი ფლოტი და გარნიზონი ტრაპიზონში, მაგრაშე დაუკავშირდა
მარცხდნენ იმპერატორ ვესპასიანეს მიერ გამოვზავნილ რჩეულ რაზმებ-
თან ბრძოლაში. ანიკეტი დალატით იქნა შეპყრობილი. მისი შემდგომი
ბედი უცნობია.

I ს-ის 70-იანი წწ. — ქართლელების, ალანების (ოსების) და ჩრდი-
ლოგავეასიელი მთიელების (დურძუკები, ლეკები, ჯიქები და სხვ.) თავ-
დასხმა სომხეთშე.

II ს-ის დასაწყისი — აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლაზების,
აფშილების, აბაზებისა და სანიგების სამთავროების ჩამოყალიბება.

114-115 წწ. — ქართლელთა რაზმი უფლისწული ამაზასპის მეთა-
ურობით მონაწილეობს რომის იმპერატორის ტრაიანეს ლაშქრობაში პარ-
თის წინააღმდეგ.

II ს-ის 30-50-იანი წწ. — მეფე ფარსმან II-ის ომები ამიერკავკა-
სიაში ქართლის სამეფოს ჰეგემონობის დასამყარებლად.

141-144 წწ. შორის — ფარსმან მეფეისა და მისი ამალის სტუმრო-
ბა რომში იმპერატორ ანტონიუს პიუსთან.

226 წ. — სპარსთა მთავარმა არდაშირ სასანიანმა დაამხო პართიის
სამეფო და საფუძველი ჩაუყარა ახალ ირანულ სახელმწიფოს, სასანიანთა
დინასტიით სათავეში.

III ს-ის შუა ხანები — ჩრდილო შავიზღვისპირეთში დასახლებული
გერმანელი ტომების — გუთების თავდასხმები კოლხეთის სანაპიროზე.

III ს-ის შუა ხანები — აღმნების (ოსების) გამოლაშქრება მცხეთა-
ზე. ქართლის მეფემ, ამაზასპმა 40 ათასი მეომრით შესძლო მოწინააღ-
მდევის ორი დღით შეჩრება მუხრან-საფურცლის ხაზზე, შესამე დღეს კი,
დამხმარე ძალების მიღების შემდეგ, ამაზასპი შეტევაზე გადავიდა და
მტერი სასტიკად დაამარცხა.

IV ს-ის პირველი ნახევარი — ქართლის მეფე მირიანის ბრძოლა
სპარსელებთან ერთად იმიერკავკასიელი მომთაბარეების წინააღმდეგ.

337 წ. — ქრისტიანობის აღიარება ქართლის სამეფოს ოფიციალურ რელიგიად.



IV ს-ის 70-იანი წწ. — ქართლის სამეფოში სასანური ირანის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გაძლიერება.

V ს-ის 20-30-იანი წწ. — ქართლის მეფის არჩილ I-ისა და მისი ვაჟის მირდატის ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ.

449-502 წწ. — ვახტანგ გორგასლის მეფობა.

452 წ. — ოსების თავდასხმა ქართლზე და კასპის აღება.

458 წ. — ვახტანგ მეფის საპასუხო ლაშქრობა ოსეთში. ქართლელების თერგზე ბრძოლაში ამარცხებენ ოსებსა და მათ მოკავშირეებს.

V ს-ის 50-იანი წწ. — ეგრისელების (ლაზების) ბრძოლა რომაელთა აგრესიის წინააღმდეგ მეცე გუბაზ I-ის წინამძღოლობით.

V ს-ის 50-იანი წწ. ბოლო — 60-იანი წწ. — ქართლის მეფე ვახტანგი სპარსელთა დახმარებით რომაელებს (ბიზანტიელებს) ებრძეის ეგრისში.

482-484 წწ. — ქართლელებისა და სომხების აჯანყება სპარსელთა წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასლის პირველი ომი ირათან.

483 წ. — ქართველ-სომხთა გაერთიანებული ლაშქარი ვახტანგ. მეფისა და ვაპან მამიკონიანის სარდლობით, ფეოდალთა ერთი ნაწილის. დალატის გამო მარცხდება სპარსელებთან ბრძოლაში ჭარმანაინის ველზე (ზრდების სამხრეთით, აღბანეთის საზღვართან).

484 წ. — ირანელი მხედართმთავარი ზარმიპრი ქართლის შუაგულ-ში შემოიჭრა. ბრძოლა მიმღინარეობს მცხეთის მისაღვომებთან. სამხედრო მოქმედებები შეწყვიტა მხოლოდ ცნობამ, რომ შუა აზიელ მომთაბარეებთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა სპარსთა მეფე პეროზი. ირანის ახალი მეფე ვალარში დაუზავდა ამიერკავკასიის აჯანყებულ ხალხებს. ზავის პირობებით, ქართლმა და, ნაწილობრივ, სომხეთმა შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა საშინაო საქმეებში და ქრისტიანული რელიგია, მაგრამ კვლავ აღიარებდნენ სასანიანთა უზენაესობას და კისრულობდნენ

საჭიროების შემთხვევაში სპარსელთა დასახმარებლად სამხედრო  შინკო გამოყვანას.

V ს-ის 80-იანი წწ. შუა ხანები — ვახტანგ გორგასალი ქართული რაზმით მონაწილეობს სპარსელთა ლაშქრობაში ინდოეთზე.

502 წ. — ვახტანგ გორგასლის მეორე ომი სპარსელებთან. უჯარ-შის ბრძოლა და ვახტანგის დაღუპვა.



ქართლის სამხფო ვახტანგ გორგასლის ბანაში

1 — ქართლის სამეფოს სავარაულო საზღვარი VI ს-ის დამდეცს; 2 — უმნიშვნელოვანების ბრძოლების ადგილები და წლები.

523 წ. — სპარსელთა წინააღმდეგ ქართლის აჯანყება მეფე ვურგენის მეთაურობით. აჯანყების ჩატშობის შემდეგ ქართლის დიდი ნაწილი სპარსელთა უშუალო მმართველობის ქვეშ მოექცა.

528 წ. — სპარსელთა ჯარი ეგრისში შეიჭრა, მაგრამ ეგრისის მეურემ, წათემ, ბიზანტიულთა დახმარებით მტერს სძლია და უკან განდევნა.

532 წ. — ირანსა და ბიზანტიის შორის დაიღო ე. წ. „უვადო ზავი“, რომლის მიხედვით ქართლი — ირანის, ეგრისი კი ბიზანტიის გავლენის უზრუნველყოფას სფეროდ გამოცხადდა.

540 წ. — „უვადო ზავი“ დაირღვა და ირანსა და ბიზანტიის შორის დაიწყო ახალი ომი, რომელიც გაგრძელდა 562 წლამდე და რომლის ერთ-ერთი მთავარი თეატრი ეგრისი იყო.

541 წ. — ეგრისის მეფე გუბაზ. II (გარდ. 554 წ.) ბიზანტიიელებს აუჯანყდა და ირანელთა მხარეზე გადავიდა.

542 წ. — ირანის მეფე ხოსრო I ანუშირვანი დიდი ჯარით ეგრისში შევიდა, გუბაზის დახმარებით აიღო ა. ბიზანტიელთა მთავარი საყრდენი პუნქტი — პეტრა (ახლანდ. ციხისძირი) და შივ თავისი გარნიზონი ჩააყენა. ეგრისი ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა.

548 წ. — ირანელთა ბატონობით შეწუხებული ეგრისელები კვლავ ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და იმპერატორს სპარსელთა წინა-აღმდეგ დახმარება სთხოვეს. იუსტინიანე I-მა ეგრისში 8000 მეომარი გაგზავნა დაგისთვეს სარდლობით.

549 წ. — გუბაზისა და დაგისთვეს ჩაზმებმა პეტრას ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს იყი, რაღანაც ციხე-ქალაქის დასახმარებლად ხოსრო ანუშირვანმა დიდი ჯარი გამოგზავნა მერმეროეს სარდლობით. დაგისთვეს ჩაზმი ვაიქცა. მერმეროე პეტრას გარნიზონი 3000 კაცით გააძლიერა, კომუნიკაციების (სამხედრო გზების) დასაცავად რიონის ველზე 5000 კაცი დატოვა, ხოლო დანარჩენი 25000 მეომარი გამოსაზამთრებლად სომხეთში გადაიყვანა.

ირანელთა მთავარი ძალების წასვლის შემდეგ გუბაზმა კვლავ მოუხმო ბიზანტიელებს და გაერთიანებული ძალებით რიონის დაბლობზე დაბანაკებული სპარსელები გაელიტა.

550 წ. — მდგომარეობის გამოსასწორებლად ეგრისში ირანელთა ახალი ჯარი შეიჭრა ხურიანეს სარდლობით, მაგრამ ცხენისწყალთან დამატებდა. ბრძოლის ბედი არსებითად ეგრისელთა თავგანწირეამ გადაწყვიტა. ხურიანე ისრით მოკლეს.

550 წ. — ბიზანტიელებს განუდგა და ირანის მხარეზე გადავიდა აფხაზთა ტომი — აბაზები. ეგრისში განლაგებული ბიზანტიის ჯარებულების გადასაცავად მოკლეს.

ბეს ახალმა სარდალმა ბესამ აჯანყებულთა წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სახმელეთო და საზოგაო ძალები დაძრა. გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიური ელემენტებისა და აბაზების შორის მოხდა ტრაქეას ციხე-ქალაქთან (ახლანდელი ახლი ათონი). ბიზანტიულებმა გაიმარჯვეს და აბაზები კვლავ დაიმორჩილეს.

551 წ. — სარდალმა ბესამ სისხლისმღვრელი ბრძოლით აიღო პეტრი და მისი ზღუდები მიწასთან გაასწორა, რათა სპარსელებს მომავალში კვლავ არ დაეკავებინათ. ირანელთა სარდალი მერმეროე შეეცადა სანაცვლოდ აეღო ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი (ახლანდ. ნოქალაქევი), მაგრამ 4000 კაცი დაკარგა, დამარცხდა და უკან დაიხია, თუმცა შეძლო ხელში ჩაეგდო ქუთაისისა და მის მახლობლად მდებარე უქმერიონის ციხეები.

553 წ. — მერმეროემ მოულოდნელი თავდასხმით აიღო ტელეფისის ციხე (ახლანდ. სოფ. ტოლები სამტრედიის რაიონში). გუბაზი ამ მარცხს ბიზანტიულ სარდლებს აპრალებდა და მისი დასმენით იმპერატორმა ბესა თანამდებობიდან გადაიყენა.

554 წ. — ბიზანტიულმა სარდლებმა რუსტიკემ და იოანემ ვერაგულად მოკლეს ეგრისის მეფე გუბაზ II. აღმფოთებულმა ეგრისელებმა ირანულებთან ბრძოლას თავი დაანებეს. მოკავშირეთა ვარეშე დარჩენილმა ბიზანტიულთა 50-ათასიანმა არმიამ ონოგურის ციხესთან სპარსელებისაგან მწარე დამარცხება იგემა.

555 წ. — ეგრისის დიდებულებმა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გადასაწყვეტად სახალხო კრება მოიწვიეს. კრების მონაწილეთა ერთი ნაწილი აიეტის მეთაურობით მოითხოვდა ბიზანტიისთან კავშირის გაწყვეტასა და ირანის მხარეშე გადასვლას; მეორე — ფართაზის ჯგუფი — ირანთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო და საჭიროდ იყვლიდა იმპერატორ იუსტინიანესათვის მოეთხოვათ გუბაზის მკვლელების დასჯა და ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის, წათეს დამტკიცება. გაიმარჯვე ფართაზის აზრმა. იმპერატორმა დაკმაყოფილა ეგრისელთა მოთხოვნები: გუბაზის მკვლელები სიკვდილით დასაჯეს, ეგრისის მეფედ კი დამტკიცა წათე II.

555 წ. — ირანელთა ჯარის ახალმა სარდალმა, ნახორაგანმა იერიში ძრიტანა ფაზისზე (ფოთი), მაგრამ დამარცხდა და 10000 კაცი დაკარგა-

562 წ. — ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო 50-წლიანი ზავი,
რომლის პირობებით ეგრისის სამეფო ბიზანტიის იმპერიის შემადგენლო-
ბაში დარჩა. ლიხსიქითა მიწებიდან სპარსელებმა არ დათმეს მხოლოდ
სკანეთი, რომლის მთავარსაც ირანის მხარე ეჭირა.

571 წ. — აჯანყება ქართლსა და სომხეთში ირანის წინააღმდეგ.
ირანის შაპი იძულებული გახდა აჯანყების წინამძღოლი, ერისმთავარი
გუარამი ეცნო ქართლის გამგებლად, ირანის ვასალობის პირობით.

575 წ. ახლოს — ბიზანტიურები სკანეთში შეიჭრნენ და ტყვედ აიყ-
ვანეს ირანის მომხრე მთავარი. ამის შემდეგ სკანეთიც ბიზანტიის პოლი-
ტიკური გავლენის სფეროში მოექცა, დასავლეთ საქართველოს დანარ-
ჩნით ტერიტორიების მსგავსად.

589 წ. — ქართლის ერისმთავარი გუარამი სარგებლობს ირანის
გართულებული პოლიტიკური მდგომარეობით და ქართული ლაშქრითა
და ჩრდილო კავკასიელ ტომთა დაქირავებული რაზმებით არბევს ირანის
პროვინცია ადარბადაგანს (ახლანდ. სამხრეთ აზერბაიჯანი).

591 წ. — აჯანყება კამეჩიანში (ახლანდ. ქიზიყი) ირანის წინააღ-
მდეგ. აჯანყებულები კლავენ ირანის დიდობობელე ვეზანს.

602-629 წწ. — უკანასკნელი ომი ბიზნატიის იმპერიასა და სასანურ
ირანს შორის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მათზე დამოკიდე-
ბული ამიერკავკასიის ხალხები — სომები, ქართლელები, ეგრისელები,
აზაზები.

627 წ. — თბილისს შემოადგა ბიზანტიის იმპერატორი პერაკლე,
თავის მოკავშირე ხაზარებთან ერთად (ცხოვრობდნენ ჩრდილო-დასავლეთ
კასპიისპირეთში). თბილისის ქართულ-სპარსულმა გარნიზონმა მეღვარი
წინააღმდეგობა გაუწია მომხდურებს და აიძულა ისინი ამჯერად გაც-
ლოდნენ ქალაქს.

628 წ. — ხაზარების ახალი თავდასხმა თბილისზე. ორთვიანი ბრძო-
ლის შემდეგ ქალაქი დაეცა. ხაზარებმა თბილისი გაძარცვეს, მისი მცხოვ-
რებნი კი ამოხოცეს ან ტყვედ წაასხეს.

610-632 წწ. — ისლამის დამარსებლისა და, მქადაგებლის, მუჰამედის (მაჰმადის) რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ისლამის დროშის არაბული ტომების გაერთიანება.

VII ს-ის 30-იანი წწ. — არაბთა დაპყრობითი ომების დასაწყისი.

633-652 წწ. — არაბთა მიერ ირანის დაპყრობა. სასანიანთა დინასტიის დასასრული.

VII-ის 40-იანი წწ. — არაბების პირველი გამოჩენა ქართლის საზღვრებთან.

654 წ. — არაბებმა სომხეთში ბიზანტიიელთა ჯარები გაანადგურეს და ქართლში შემოიჭრნენ. ქართლის ერისმთავარი სტეფანიში უორად დამორჩილდა არაბთა სარდალს ჰაბიბ იბნ-მასლამას. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითც ქართლი არაბთა სახალიფოს მოხარკე ქვეყანად იქცა. სამაგიეროდ არაბები ქართლის მოსახლეობას პირდებოდნენ უშიშროებას, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობას. მაგრამ ამჟერად არაბთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა. სახალიფოში დიდი შინაომში ატყდა, რითაც ისარგებლეს ქართველებმა და ხარკის გადახდა შეწყვიტეს.

662 წ. — ამიერკავკასიაში არაბთა შემოსევების განახლება.

VII ს-ის 70-იანი წწ. — ქართლის ერისმთავარმა ნერსე I-მა და-ამარცხა სომხეთში მდგარს არაბთა ჯარის სარდალი ბარაბა.

685 წ. — ხაზარები არბევენ ალბანეთს, ქართლსა და სომხეთს.

686-688 წწ. — ბიზანტიიელთა ლაშქრობები ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში. ბრძოლა ამიერკავკასიაში დაბანაკებულ არაბებთან.

VII ს-ის 90-იანი წწ. — არაბები საკმაოდ მტკიცედ იქიდებენ ფეხს ქართლში, თუმცა ქართველთა წინააღმდეგობის საბოლოო გატეხვეს ვერ აქერცებენ.

697 წ. — ევრისის გამეგებელი სერგი ბარნუეის ძე უჯანყდება ბიზანტიის იმპერატორს და თავის ქვეყანაში არაბებს იწვევს.

701-704 წწ. — არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის აოხრება მუჰამედ იბნ-მარვანის მიერ.



717 წ. — არაბთა რაზმები აფხაზეთამდე აღწევენ.

VII ს-ის 10-20-იანი წწ. — ამიერკავკასიაშე ბატონობისათვის გრძელი რეგიონი არაბები, ხაზარები და ბიზანტიელები.

730 წ. — ქართლის ერისმთავრის არჩილ II-ის (718-745) მოწვევით ხაზართა ხავანმა არაბთა წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გამოვზავნა თავისი ვაჟის, ბარჯიერის სარდლობით ხაზარებმა დაამარცხეს და მოკლეს ამიერკავკასიის არაბი გამგებელი აღ-ჯარაპი.

735-736 წწ. — საქართველოს შემოესია ამიერკავკასიის გამგებელად დანიშნული სახელმომცვეჭილი არაბი სარდალი მარვან იბნ-მუჰამედი, რომელსაც ქართველებმა სისასტიკისათვის „მურმან ყრუ“ შეარქევეს. ქართული წყაროების ცნობით, მურვანმა ააოხრა აღმოსავლეთ საქართველოს, გადავიდა სამცხეში და იქიდან ევრისში შეიჭრა, სადაც თავს აფარებდნენ ერისმთავარი არჩილ II და მისი ძმა მირი. არაბთა წინსვლა შეჩერებული იქნა მხოლოდ აფხაზეთში, ანაკონდის ციხესთან (ახლანდ, ახალი ათონი), რომელსაც იცავდა 1000 ქართველი და 2000 აფხაზი შეომარი. უკანაა ხელმა მურვანმა განვლო გურია, იავარ ჰყო შავშეთ-კლარჯეთი და ჭოროხის ხეობით დატოვა საქართველოს ტერიტორია.

მურვან ყრუმ მნიშვნელოვნად განამტკიცა არაბთა ხელისუფლებისაქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში. მან წარმატებით ილაშქრა აგრეთვე ლეკეთში, ოსეთსა და ხაზარეთში. მურვანის ლაშქრობის შემდეგ არაბების მიერ დაპყრობილ ქართულ მიწებზე ჩამოყალიბდა ცალკე აღმინისტრაციული ერთეული — თბილისის სამირო. თბილისში, რუსთავში, დმანისში და სხვა ციხე-ქალაქებში მუსლიმთა გარნიზონები ჩადგნენ. ქართლის ერისმთავარი, ფაქტობრივად, არაბი ამირას მოადგილე გახდა.

VIII ს-ის 50-იანი წწ. — არაბი სარდალი იაზიდ იბნ-უსაიდი ამარაცხებს აჯანყებულ კახელ მთიელებს — წანარებს, რომლებიც ამ პერიოდში ამიერკავკასიაში არაბებისათვის ყველაზე საშიშ მტრებად ითვლებოდნენ.

764 წ. — ხაზარები ლაშქრობენ ქართლში და ატავევებენ ერისამთავარ ჯუანშერს.

VIII ს-ის 70-იანი წწ. — წანარების ახალი აჯანყება. მათ უშედებობი ერმება ამიერკავკასიის არაბი გამგებელი აღ-პასან იბნ-კაჟტაბა.

მსოლოდ მას შემდეგ, რაც ბალდაძის ხალიფაშ იბნ-კაპტაბას დამატებით
კიდევ 20000 მეომარი მიაშევლა, მოხერხდა წანარების დამარცხებული მიზანის
უხედავად ამისა, წანართა წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა, რაც, საბო-
ლოო ჯამში, კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებით დაგვირცვინდა.

VIII ს-ის 80-იანი წწ. — აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ ხაზართა
დახმარებით განდევნა ბიზანტიელები ეგრის-აფხაზეთიდან და თავისი თა-
ვი ამ მხარის მეფედ გამოაცადა. ახლადშექმნილი აფხაზთა სამეფოს დე-
დაქალაქი გახდა ქუთაისი.

803-806 წწ. — ამიერკავკასიის არაბი გამგებელი ხუზამა იბნ-
ხაზიმი უშედევოდ ეომება აჯანყებულ ქართლელებსა და წანარებს (კა-
ხელებს).

818 წ. ახლოს — ქართლის ერისმთავარი აშოტ I ბაგრატიონი, აფ-
ხაზთა მეფის თევდოსი I-ის დახმარებით, მდ. ქსანშე შეება კახეთის მთა-
ვარს გრიგოლს, რომელსაც მხარს უჭერდა თბილისის ამირა. ბრძოლა
აშოტის გამარჯვებით დასრულდა. გრიგოლი გაიქცა და დასთმო მის მიერ
ადრე დაბყრობილი ქართლის ნაწილი.

IX ს-ის 20-იანი წწ. — არაბთავან შევიწროვებული ერისმთავარი
აშოტ I ოჯახითა და ვასალების რაზმით ტოვებს ქართლს და სამხრეთ
საქართველოში გადადის. ფარავნის ტბასთან გას მიეწევა არაბთა ლაშქა-
რი, მაგრამ ქართველები ამარცხებენ მტერს. შავშეთ-კლარჯეთში აშოტი
იპყრობს ვრცელ ტერიტორიას ცენტრით არტანუჯში, რითაც საფუძველი
ექრება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახელმწიფოს.

826 წ. — ნიგალისხევში მოკლეს აშოტ I, როდესაც იგი ლაშქარს
აკროვებდა არაბთა წინააღმდეგ. მკვლელები, როგორც ჩანს, აშოტის მო-
წინააღმდეგე ფეოდალური დაჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ.

829 წ. — საქართველოში ლაშქრობს არაბი სარდალი ხალიდ იბნ-
იაზიდი. ბრძოლა არაბებსა და წანარებს შორის.

IX ს-ის 30-იანი წწ. — ხალიდ იბნ-იაზიდის მეორე ლაშქრობა კა-
ხეთში და მისი დამარცხება გაეაზთან კახი-გარდაბანელების მიერ.

841 წ. — ხალიდის მესამე ლაშქრობა საქართველოში და მისი ჯა-
ვახეთში დაღუპვა.

842-843 წ. — ქართლში ლაშერობს ხალიდის ვაჟი მუპამედი, რო-
გელიც ხალიფამ მამის თანამდებობაზე დანიშნა. ტაო-კლარჯეთის მთავარი მამა
რის ბაგრატ I-ის (826-876) დახმარებით მან უფლისციხე აიღო, მაგრამ
წააწყდა ძლიერ წინააღმდეგობას ხალიფასაგან გამდგარი თბილისის ამი-
რა საპაკისა და კახი-გარდაბანელების გაერთიანებული ძალების მხრიდან.
შრძლობაში სიც. რესთან ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გამარჯვებას.
და მუპამედი იძულებული გახდა საქართველოს გაცლოდა.

844 წ. — ბიზანტიის იმპერატორმა აფხაზთა სამეფოს დასაპურობად
ზღვით დიდი ლაშეარი გამოვზავნა, მაგრამ ბერძენთა ფლოოტი ქარიშხალმა
დააზიარალა, ნაპირს მოღწეულმა რაზმებმა კი იქ სასტიკი მარცხი იგე-
მეს. იმპერატორმა ამ წარუმატებელ ექსპედიციაში 40 ათასამდე ჯარის-
კაცი და მეზღვაური დაკარგა.

853 წ. — ამიერკავკასიაში არაბთა შერყეული პოზიციების აღსად-
გენად ბალდაღიდან მოავლინეს გამოცდილი სარდალი ბულა თურქი მრა-
ვალრიცხოვანი ლაშერით (120-200 ათასი მეომარი). სომხეთის დამორ-
ჩილების შემდევ იგი თბილის მოადგა, 5 ავგისტოს აიღო ქალაქი და-
მცი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაულიტა. ურჩი ამირა საპაკი მოკლუ-
ლი იქნა. არაბებმა დაამარცხეს აგრეთვე ქართლში გადმოსული აფხაზთა-
მეფე თევდოსი II. ბულა არაგვის ხეობაშიც შეიჭრა, მაგრამ მთიულებმა
იგი დიდი ზარალით უკუაქციეს.


854 წ. — ბულა თურქის ჯარებმა ააოხრეს კახეთის პროვინცია გარ-
დაბანი, რომელიც მდებარეობდა მდ. მტკვრის სამხრეთით..

IX ს-ის მეორე ნახევარი — არაბებს ცვალებადი უპირატესობით
ებრძის აშორტ I-ის ვაჟი გუარამ მამფალი (გარდ. 882 წ.), რომელსაც
ეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი.

IX ს-ის 60-იანი წ. — შიდა ქართლი დაიპურო აფხაზთა მეფემ
გიორგი I-მა (861-868).

868 წ. — გიორგი აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდევ აფხა-
ზეთის სამეფო ტახტი ხელში ჩაიგდო მთავარმა იოანე შავლიანმა. ტახ-
ტის კანონიერი მემკვიდრე მცირეწლოვანი უფლისწული ბაგრატი ბიზან-
ტიაში გადაიხვეწა.

2. გიორგი ანჩიბაძე





IX ს-ის 70-იანი წწ. — არგვეთელი ფეოდალი ლიპარიტ I ბაღევების მართვისა და მუქრობის თრიალეთს და აშენებს კლდეკარის ციხეს, რომელიც ამავე მისამართის ხელწოდების საერისთავოს ცენტრი ხდება.

IX ს-ის 80-იანი წწ. პირველი ნახევარი — შინაბრძოლა აშოტ I-ის შთამომავლებს შორის. გუარამის ძე ნასრა კლავს თავის ბიძაშვილს დავით I კურაპალატს (876-881). დავითის ძმა აშოტ II (გარდ. 885 წ.) ლიპარიტ ბაღევაშის, სომხებისა და არაბების დახმარებით ამარცხებს ნასრას. ნასრა გარბის ბიზანტიაში.

887 წ. ახლოს — აფხაზეთში ბერძენთა ფლოტით ბრუნდება უფლისწული ბაგრატი; კლავს იოანე შავლიანის შვილს, ადარნასეს, და იბრუნდებს წინაპართა ტახტს.

888 წ. — საბერძნეთიდან დაბრუნებულმა ნასრა ბაგრატიონმა, აფხაზთა მეფის ბაგრატ I-ის სამხედრო დახმარებით განაახლა ბრძოლა თავის ნათესავებთან და დაიყრო სამცხე. მის წინააღმდეგ გამოდიან სხვა ბაგრატიონები, მოკლული დავით კურაპალატის ძის, ადარნასეს მეთაურობით. მტკვარზე მომხდარ ბრძოლაში ნასრა მარცხდება და იღუპება.

IX-X ს-ის მიჯნა — აფხაზთა სამეფომ დაკარგა შიდა ქართლი, რომელსაც ეუფლებიან ადგილობრივი აზნაურები.

904 წ. — აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-მ (893-922) კვლავ დაიმორჩილა ქართლი.

905 წ. ახლოს — სომეხთა მეფე სუმბატ I იწყებს ომს აფხაზთა სამეფოს წინააღმდეგ, მოადგება უფლისციხეს და საალყო ტექნიკის გამოყენებით იღებს ციხე-ქალაქს. მაგრამ მოწინააღმდევეები მალე დაზავდნენ და სუმბატმა კონსტანტინეს დაუბრუნა დაპყრობილი ტერიტორიები.

914 წ. ახლოს — ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი დალაშქრა ძიერბაიჯანის არაბმა გამგებელმა იუსუფ იბნ აბუ ს-საჯმა (აბუ ლ-კასიმმა), ბაგრატ ცალკეულ ციხესიმაგრებში (უჯარმა, თმოვგი, ყუელი) მედგარ წინააღმდევობას გადაეყარა და იძულებული გახდა საქართველოს ისე გაცლოდა, რომ შემოსევის მთავარი მიზანი — ქვეყნის ხელახალი დამორჩილება, — ფაქტობრივად, განუხორციელებელი დარჩა.

მეტი წარმატებები ჰქონდა იუსუფს სომხეთში, სადაც მან შეიძყრო და მოკლა მეფე სუმბატ I.



915 წ. ახლოს — აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-მ და ქახეთიშვილის მთავარმა (ქორეპისკოპოსმა) კვირიკე I-მა იღაშერეს კახეთის აღმოსავა-ლეთით მდებარე პერეთში და დალეწეს ვეჟინის ციხე. პერთა მეფემ ტე-რიტორიული დათმობებით ზავი იყიდა: კონსტანტინეს მისცა არიში და გავაზი, კვირიკეს — ორჭობი (ყველა ალაზნის ველზე).

922 წ. — გარდაიცვალა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III და ლიხა-იქითში შინამი ატყადა მის შეიღებს — გიორგისა და ბაგრატს შორის, რომელიც ბაგრატის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. როგორც ჩანს, ამ არეულობით ისარგებლეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებმა და ქართლი დაიკავეს.

923 წ. — გარდაიცვალა „ქართველთა მეფის“ ტიტულის მქონე ადარნესე II ბაგრატიონი (888-923) და ქართლს კვლავ ეუფლა აფხაზთა შეფე გორგი II (922-957).

924 წ. ახლოს — იუსუფი იბნ აბუ ს-სავმა კიდევ ერთხელ მოახსრა ქა-ხეთი და მცხეთამდეც მოვიდა, მაგრამ ვერც ამ ლაშერობამ უშველა არა-ბებს და მათი გავლენა საქართველოში მაღლ სრულიად მოისპო. როგორც კვალი მათი ბატონობისა დარჩა თბილისის მცირე საამირო, მაგრამ ამ დროისათვის იგი სხვა ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულებიდან, პრაქ-ტიკულად, აღარ გამოიჩინდა.

929 წ. ახლოს — გიორგი აფხაზთა მეფეს განუდგა მისი ძე ქარ-თლის გამგებელი კონსტანტინე და ქართლელ აზნაურებთან ერთად უფ-ლისციხეში გამაგრდა. მეფე გიორგიმ ციხე-ქალაქს აღყა შემოარტყა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე შეიძყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

X ს-ის შუა ხანები — გიორგი II აფხაზთა მეფე შეიჭრა კახეთში, დაიპყრო მისი დიდი ნაწილი და ქორეპისკოპოსი კვირიკე II (929-976) აიძულა ეცნო აფხაზთა მეფის უფლებანი კახეთშე.

956 წ. — ქართლელი და კახელი აზნაურების მხარდაჭერით კვირიკე II-მ დაარღვია ზავი გიორგი მეფესთან და კახეთის ციხეებიდან განდევნა „აფხაზთა“ რაზმები.

957 წ. — კვირიკეს დასასველად კახეთშე გაიღაშერა აფხაზთა მეფის ძემ, ლეონმა. როდესაც იგი ქვეყანას აოხებდა, მოვიდა ცნობა



გიორგი II-ის გარდაცვალების შესახებ. ლეონი სასწრაფოდ დაუტანხმდა კვირიკეს და უკან გაბრუნდა.

967 წ. — აფხაზთა მეფე ლეონ III (957-967) ისევ შეიჭრა კახე-თის სამთავროში, მოარბისა არავისისირი, მაგრამ ლაშქრობის დროს ავად გახდა, დაბრუნდა თავის სამეფოში და მაღვე გარდაიცვალა.

X ს-ის 60-იანი წწ. ბოლო, 70-იანი წწ. პირველი ნახევარი — შინა-ომი აფხაზთა სამეფოში.



საქართველო X ს-ის შუა ხანებში

975 წ. — „აფხაზთა“ შინააშლილობით ისარგებლეს კახელმა ფეო-ლებმა და უფლისციჩეს შემოდგნენ, მაგრამ იმხანად ქართველ მეფეთა შერის უძლიერესის, ტაოელი დავით III კურაპალატის (გარდ. 1001 წ.) გამოლაშქრებამ, აიძულა ისინი უკან დაეხით. დავით კურაპალატმა ქართლი გადასცა თავის შვილობილს, ბაგრატ ბაგრატიონს, რომელიც დედის მხრიდან აფხაზთა მეფე გიორგი II-ის შვილიშვილი იყო.

978 წ. — ბაგრატ ბაგრატიონმა აფხაზთა სამეფოს ტახტი დაიკავეს მართვა
ის შესულია ისტორიაში, როგორც გაერთიანებული ფეოდალური ქართველოს პირველი მეფე — ბაგრატ III (978-1014).

979 წ. — დავით III კურაპალატი 12-ათასიან ლაშეკარს აგზავნის
ბიზანტიის საიმპერატორო კარის დასახმარებლად, რომელსაც ეპრძოლა
აფხანუებული მხედართმთავარი ბარდა სკლიაროსი. ქართველთა დახმარე-
ბით ბიზანტიის სამთავრობო ჯარების სარდალმა ბარდა ფოკამ სკლიარო-
სის აფხანუება ჩაახშო.

980 წ. ახლოს — ბაგრატ III მოღრისთან ამარცხებს მის წინააღმ-
დევ ამბოხებულ ქართლელ ფეოდალებს.

987-989 წწ. — დავით კურაპალატი კვლავ ერევა ბიზანტიის საში-
ნაო საქმეებში, მაგრამ ამგერად უკვე იმპერატორის წინააღმდევ ამბოხე-
ბული ბარდა ფოკას შხარებუ. ფოკა, ქართული რაზმების დახმარებით,
წარმატებით უტევს სამთავრობო ჯარებს, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის
წინ მას მოწამდლავენ. გამარჯვებულ იმპერატორთან დასაზავებლად დავითი
იძულებული ხდება დაღოს პირობა, რომ მისი (დაუითის) სიკედილის შემ-
დევ ტაოს სამეფო იმპერიას შეუერთდება.

989 წ. — ბაგრატ III-მ დალშერა და დაიმორჩილა კლიდეპარის
საერისთავო.

990 წ. — დავით კურაპალატმა მუსლიმებს წაართვა მნიშვნელოვანი
სომხური ქალაქი მანასერტი.

997 წ. — დავით მეფის ჯარებმა აღყა შემოარტყეს ქ. ხლათს ვანის
ტბის ნაპირზე, მაგრამ ქალაქის აღება ვერ მოხერხდა.

998 წ. — დავით კურაპალატის გაძლიერებით შეშფოთებულმა მუს-
ლიმებმა აზერბაიჯანის ამირა მამლანის მეთაურობით გამოილაშერეს
ტაოს მეფის წინააღმდევ, მაგრამ დავითის სარდალი გაბრიელ ოჩიპინ-
ტრეს მე ამარცხებს მტრეს. ბრძოლა მოხდა დასავლეთ სომხეთში.

1001 წ. — დავით III კურაპალატის გარდაცვალება. ბიზანტიის
იმპერატორი ბასილი ანდერძის თანახმად იპყრობს დავითის სამფლობე-
ლოებს — იმიერ ტაოსა და დასავლეთ სომხეთს.

1008-1010 წწ. — ბაგრატ III იპყრობს პერეთს და კახეთს.



1011-1012 წწ. — ბაგრატ III-მ და სომეხთა მეფე გაგიქმა დაშვილებულის განჯის ამირა ფადლონ I-ის სამფლობელოები, რომელიც ქურაბულის დუღი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდა მეზობელ ქრისტიანულ რეგებს. მოკავშირეთა წარმატებულმა მოქმედებებმა ფადლონი აიძულა ზავი ეთხოვა.

1014-1016 წწ. შორის — საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027) სარგებლობს ბიზანტიის გაჭირებული ომით ბულგარელებთან და იყავებს იმიერ ტაოს. ამავე პერიოდში, გერთიანებულ საქართველოს კვლავ ჩამოცილდა კახეთ-პერეთი.

1021-1022 წწ. — ბიზანტია-საქართველოს ომი დავით კურაპალატის მექვიდრეობისათვის. სამხედრო მოქმედებებს ხელმძღვანელობენ პირადად მეფე გიორგი I და იმპერატორი ბასილი II. მორის რიცხვითი უპირატესობის გამო ქართველებმა მარცხი განიცადეს ორ დღი ბრძოლაში — სოფ. შირიმთან (1021 წ.) და ბასილის ცელზე (1022 წ.), მაგრამ საქართველოს სილრმეში შემოჭრილმა ბასილი კეისარმაც ვერ მოახერხა აქ დამაგრება და უკან დაიხია. ზავის პირობებით, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოები ბიზანტიის შემადგენლობაში დარჩა.

1028 წ. — ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII შეცადესარგებლა იმ გარემოებით, რომ გიორგი I-ის მექვიდრე, ბაგრატ IV (1027-1072) ჯერ მცირეწლოვანი იყო და საქართველოს ჯარი შემოუსია. ბიზანტიის გარემოებმა თრიალეთამდე და შავშეთამდე შემოაღწიეს, მაგრამ ფართოდ გაშლილი საერთო-სახალხო წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდნენ უკან დაიხიათ.

1030 წ. — ქართველები (ბაგრატ IV-ის ლაშქარი კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშვის სარდლობით და კახეთ-პერეთის მეფე კვირაცე III), სომხებთან და თბილისის ამირასთან ერთად მდ. ეკლეზი ამარცხებენ განჯის ამირა ფადლონ I-ს.

1032 წ. — ბაგრატ IV-ს განუდგა მისი ნახევარმა დემეტრე და ბიზანტიის გადასცა ანაკოფიის ციხე.

1032 წ. — ლიპარიტ ბაღვაშვი და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ შეიძყრეს თბილისის ამირა ჯაფარი და წართვეს მას ბირთვისის ციხე, მაგრამ ბაგრატ IV-მ ამირა შეიწყლა და თბილისში დამრუნა.

1035 წ. ახლოს — კახეთ-პერეთის მეფე კვირიკე III-მ დაამარცხა
და მოკლა ოსთა მეფე ურდურე. მცირე ხნის შემდეგ, ურდურეს სისხე^{მცირე ურდურეს სისხე} ძიების მიზნით, კვირიკე III ნადირობის დროს მოკლული იქნა ოსი მო-
ნის მიერ.

1037-1039 წწ. — თბილისის გარემოცვა ბაგრატ IV-ისა და კახეთ-
პერეთის მეფის — გაგიყის გაერთიანებული ძალებით. ამ კამპანიის დრო-
სვე ქართველებმა ამირან წაართვეს ორბეთისა და ფარცხისის ციხეები.
ხანგრძლივი ალყით შეწუხებული თბილისელი მუსლიმები დანებებას აპი-
რებდნენ, მაგრამ ქართველთა შორის წამოქმნილი განხეთქილების გამო-
ალყა მოიშალა. ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც თბილისის გარემოცვის
მთავარი ინიციატორი იყო, ბაგრატ IV-ს გაუნაწყვნდა.

1040 წ. ახლოს — ბაგრატ IV დაიძრა კახეთ-პერეთის დასაპყრობად
და თავდაპირეველად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. დაამარცხა კა-
ხები და შეიძყრო მის წინააღმდეგ მებრძოლი რამდენიმე ერისთავი. მაგ-
რამ მალე ბაგრატი იძულებული გახდა შეეწყვიტა ლაშქრობა და უკან
დაბრუნებულიყო, ვინაიდან ქართლში მის წინააღმდეგ ამოქმედდა ლი-
პარიტ ბაღვაში.

XI ს-ის 40-იანი წწ. დასაწყისი — აჯანყებული ლიპარიტი ბიზან-
ტიკელებს დაუკავშირდა და მათი დახმარებით ალყა შემოარტყა სამეფო
ციხე ატენს. მეციხოვნებმა ალყას გაუძლეს, მაგრამ ბაგრატი იძულებული
გახდა დაზავებოდა ლიპარიტს და მიეცა მისთვის ქართლის ერისთავობა.

1045 წ. — სომხეთის დედაქალაქის, ანისის, თავკაცებიმა, რომელ-
გიც შეწუხებულნი იყვნენ ბიზანტიის აგრესით, ქალაქი ბაგრატ IV-ს
გადასცეს.

1046 წ. გაზაფხული — ბიზანტიის მიერ ოკუპირებული ზღვის-
პირა ციხეების, ანაკოფიისა და ხუფათის (ახლანდ. ხოფა თურქეთში) ალყა
ბაგრატ IV-ის ჯარების მიერ.

1046 წ. — გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი და „ტფილელ-
მა ბერებმა“ ქალაქი ბაგრატ IV-ს გადასცეს. ქართველ მეფეს არ დანებ-
და მხოლოდ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისანი, სადაც მაპმადი-
ანური არისტოკრატია იყო გამაგრებული. მეფის ლაშქარი ქვისმტყორც-
ნელი მანქანებით ისნის კედლების დანგრევას შეუდგა.

1046 წ. — ლიპარიტ ბაღვაში კვლავ აუჯანცდა მეფეს და ხელო
რედო ქ. ანისი, რომელიც ბიზანტიიელებს გადასცა. ბაგრატი იძულებულია მომართება
გახდა თბილისიც დაეტოვებინა.

1047 წ. — ბაგრატ IV შიდა ლაშქრით (დასავლეთ საქართველოს
უკოდალური მხედრობა) და 700 დაქირავებული ერანგით (ასე ეძახდ-
ნენ აღმოსავლეთში სკანდინავიულ ვიკინგებს) სასირეთის ჭალასთან შეება
ლიპარიტ ერისთავს, მაგრამ დამარცხდა.

1048 წ. — ბიზანტიელთა დახმარებით ზურგგამაგრებულმა ლიპა-
რიტმა კიდევ ერთხელ დაამარცხა ბაგრატი არყის ციხესთან.

1049 წ. — ბიზანტიის იმპერატორის თხოვნით, ლიპარიტ ერისთავი
16-ათასიანი ჯარით ლაშქრობს სომხეთში აღმოსავლეთიდან ახლადგამო-
ჩენილი მტრის, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. ქრისტიანთა გაერთიანე-
ბული მხედრობა (16000 ქართველი, 15000 ბიზანტიელი, 10000 სომე-
ხი) ღამატის გამო თურქებთან ბრძოლაში მარცხდება. ლიპარიტი ტყვეღ
ჩავარდა.

1051 წ. — ლიპარიტ ბაღვაში გაათავისუფლეს ტყვეობიდან და სა-
ქართველოში დაბრუნდა. ბიზანტიელთა მხარდაჭერით ივი კვლავ მომძ-
ლავრდა.

1058 წ. — ბაგრატის ერთგულმა მესხმა აზნაურებმა, შეიძურეს ლი-
პარიტ ბაღვაში და მიპევარეს მეფეს, რომელმაც ორგული ერისთავი იძუ-
ლებით ბერად შეაყენა.

1062 წ. — ბაგრატ IV-მ განჯის საამიროს შეუსია ჩრდილო კავკა-
სიდან მოწვეული ოსების ჯარი. ოსებმა საამირო დაარბიეს და 20000
ტყვე წამოასხეს.

1064 წ. — საქართველოში შემოიჭრა თურქ-სელჩუკთა სულთანი
აღფარსლანი. თურქებმა მძიმე ბრძოლით აიღეს ახალქალაქის ციხე, მო-
არბიეს თრიალეთი და ჯავახეთი.

1064 წ. — ბაგრატ IV-მ სომეხთა მეფეს წაართვა ქ. სამშვილდე.

1065 წ. — ქართველებისა და ოსების ახალი თავდასხმა განჯის სა-
ამიროზე.



1067 წ. — ბაგრატ IV იწყებს ბრძოლას კახეთის შემოსაერთებულების, ვაკეული და პურობს მის დიდ ნაწილს, მაგრამ თურქთა ახალი შემოსევის გამტკიცება.

1067 წ. ნოემბრიდან 1068 წ. იანვრამდე — ალფ-არსლანის მეორე გამანადგურებელი ლაშქრობა. თურქებმა სასტიკად ააოხრეს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი და არგვეთი. უკან გაბრუნებულმა სულთანმა იმილისი და რუსთავი გადასცა განჯის ამირა ფადლონ II-ს.

1068 წ. გაზაფქული — ფადლონი 33-ათასიანი ლაშქრით ქართლში შემოვიდა, მაგრამ მცხეთის ჩრდილოეთით ქართველებმა იგი სასტიკად დაამარცხეს. ტუვედ ჩავარდნილმა ფადლონმა თავის უფლება იყიდა თბილისისა და რუსთავის დაბრუნებით.

1069 წ. ახლოს — ფადლონმა განაახლა ყაჩაღური თავდასხმები. ბაგრატმა მის დასასჯელად მოიწვია ოსთა მეფე ღორღოლელი დიდი ლაშქრით და განჯის ქვეყანა დაარბევინა.

1071 წ. — სომხეთში, ქ. მანასკერტთან სულჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა სასტიკად დაამარცხა ბიზანტიელთა მრავალრიცხვანი არმია. იმპერატორი რომან IV დიოგენი ტუვედ ჩავარდა. მანასკერტის ბრძოლის შედეგად ბიზანტიამ დაკარგა თითქმის მთელი მცირე აზია და სომხეთი, სადაც სელჩუკები გაბატონდნენ. საქართველო, პრაქტიკულად, შარტო დარჩა მათ პირისპირ.

1074 წ. ახლოს — საქართველოში შემოიჭრა სელჩუკთა ახალი სულთანი მალიქშაპი, აილო საშვილდე და სომხითი მოახრა; უკან მიმავალმა დაიკავა განჯა, გადააყენა ფადლონ III და განჯის ქვეყანა ჩააბარა თავის სარანგს (მხედართმთავარს), სავ-თევინს, რომლის განკარგულებაში, შემდგომი დაპურობებისათვის, 48000 მეომარი დატოვა.

1075 წ. საქართველოს მეფე გიორგი II-მ (1072-1089) ფარცხისთან ბრძოლაში დაამარცხა და გააქცია განჯის სარანგი.

XI ს-ის 70-იანი წწ. — გიორგი II სარგებლობს მანასკერტის ბრძოლის შედეგებით და ბერძნებს ართმევს ანაკოფიასა და შავშეთ-კლარჯეთის ციხეებს. გარდა ამისა, ბიზანტიელმა მხედართმთავარმა, ტომით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, მეფე გიორგის გადასცა ჩრდილო სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-ქალაქი ყარსი. გიორგიმ ყარ-

სის სანახებიდან განდევნა მოთარეშე თურქები, ქალაქის მცველებად კა-
ჰიშელი აზნაურები დააყენა.

XI ს-ის 70-იანი წწ. დასასრული — სულთანი მალიქშაპი ვერ შეუ-
რიდებოდა გიორგი II-ის გაძლიერებას. მან ქართველთა წინააღმდეგ
დიდი ლაშქარი გამოვზავნა ამირა აპმადის სარდლობით. სელჩუკმა
აღლეს ყარსი, შემოიჭრნენ ჯავახეთში და შინაგამცემელთა წყალობით
დაამარცხეს გიორგი II.

1080 წ. — საქართველოში მოთარეშე თურქებს თანამეტომეთა ახა-
ლი ურდობები შეემატა. სელჩუკები მკალივით მოედვნენ მთელ ქვეყანას
ქართლიდან ოდიშამდე და აჭარამდე. ერთ დღეს გადაწვეს ქუთაისი, არ-
ტანუჯი, კლარჯეთის უდაბნოები... რბევააკლება დაზამთრებამდე არ შე-
წყვეტილა. ამ გამანადგურებელ შემოსევას ქართველებმა — „დიდი თურ-
ქმბა“ უწოდეს.

ამ დროიდან დაწყებული სელჩუკებმა წესად შემოიღეს ყოველწლიუ-
რი შემოსევა საქართველოში. გაზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე თა-
რეშობლენენ, არბევდნენ, რისი წალებაც შეიძლებოდა — მიქვნდათ, და-
ნარჩენს ანადგურებლენენ.

1083 წ. — თურქთა განუწყვეტელი შემოსევებით იმედგაწყვეტილი
გიორგი II მორჩილებას უცხადებს მალიქშაპს და კისრულობს ხარკის-
გადახდას, მაგრამ მომთაბარეთა თარეში საქართველოში მაინც გრძელ-
დება. ისინი აქ ზამთრობითაც იწყებენ დარჩენას თავისი ოჯახებითა და
ჯოგებით.

1089-1125 წწ. — დავით IV აღმაშენებლის მეფობა.

1092 წ. — გარდაიცვალა სულთანი მალიქშაპი, რომლის დროსაც
სელჩუკთა სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. მისი
სკედილის შემდეგ სელჩუკებს შორის იწყება შიდაპოლიტიკური ბრძოლა.

1096 წ. — პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისი, რომე-
ლიც დასრულდა 1099 წ. დასავლელი ქრისტიანების მიერ იერუსალიმის
აღებით.

1099 წ. — დავით მეფემ სულთანს ხარკის გადახდა შეუწყიტა-
დაიწყო ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ომი სელჩუკთა წინა-
აღმდეგ.

1103-1104 წწ. — დავით IV-ის მიერ კახეთ-პერეთის შემოერთება

1104 წ. — მეფემ ერწულთან დაამარცხა განჯის სელჩუკი მამათასისა დაშეარი, რომელიც კახეთ-პერეთის დაბრუნებას ლამობდა.

1110 წ. — ქართველებმა აიღეს ციხე-ქალაქი სამშვილდე, რის შემდეგ თურქებმა უბრძოლველად დატოვეს ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

1110 წ. — მდგომარეობის გამოსაწორებლად სელჩუკთა მრავალ-რიცხოვანი ლაშეარი საქართველოში შემოიჭრა. დავითი თრიალეთში გადაეღობა მტერს. ბრძოლამ განთიადიდან დაღამებამდე გასტანა. დამით-თურქებმა დატოვეს თავისი ბანაკი და გაიცენენ.

1115 წ. — ქართველები ათავისუფლებენ რუსთავს.

1116 წ. — დავით ალმაშენებელი ანადგურებს ტაოში გამოსაზამთრებლად ჩამომდგარ თურქულ ტომებს.

1117 წ. — დავითმა აიღო ციხესიმაგრე გიში, მისმა ვაჟმა დემეტრემ კი — ციხე ქალაძორი.

1118 წ. — მეფე არბევს არეზის ნაპირებზე დაბანაკებულ მომთაბარებს, შემდეგ იყავებს ტაშირის მთავარ ციხე-ქალაქ — ლორეს და აგარანს (კოჯრის ციხეს).

1118—1119 წწ. — დავითს ჩრდილო კავკასიიდან გადმოყავს ყივ-ჩიყთა დიდი ურდო (40000 მეომარი ოჯახებით) და ასახლებს მას აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებზე — პერეთსა და სომხით-ტაშირში.

1120 წ. — დავით ალმაშენებელი თებერვალში ანადგურებს მტკვრის პირას ჩამომდგარ თურქულ ტომებს, შემდეგ ლაშექრობს შირვანში და იღებს ქ. ყაბალას. ნოემბერში კვლავ მომთაბარებს არბევს სომხეთში.

1121 წ. — მეფე ლაშექრობს ხუნანზე (ძველი ციხე-ქალაქი მტკვარზე, მდ. ძეგამის დასავლეთით), შემდეგ კი ყიჩიაყთა მხედრობით გადალახავს მტკვარს და არბევს ბარდავის (ახლანდ. ქ. ბარდა აზერბაიჯანში) მიღამოებში დაბანაკებულ თურქებს.

1121 წ. — ქართველთა თავდასმებისაგან შეჭირვებული ამიერკავკასიელი მუსლიმები დახმარებისათვის მიმართავენ მაპმადიანურ სამყაროს. გროვდება დიდი ლაშეარი, რომელსაც სათავეში უდგება ჯვაროს.


საქართველოს მთავრობის მინისტრის ბრძანებულება

ნებშე გამარჯვებით სახელგანთქმული სარდალი ნაჯმ აღ-აღინ იღ-ღაზე
საქართველოში შემოჭრილ თურქებს დავითი 12 აგვისტოს დახვდა დაძლივი მიზანის
გორში 56000 მეომრით (40000 ქართველი, 15000 ყივჩაყი, 500 ოსი,
და 100 დასავლეთეროპელი ჯვაროსანი). დიდგორის ბრძოლა ქართველ-
თა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

1122 წ. — დავით აღმაშენებელი ათავისუფლებს თბილისს და გა-
დმოქვეს აქ ქუთაისიდან საქართველოს დედაქალაქი.

1123 წ. — დავით მეფე ლაშერობს შირვანში, სადაც ამარცხებს
ურავის სელჩუკთა სულთან მაჰმედს.

1124 წ. — დავითი ზედიშედ ატარებს ლაშერობებს მუსლიმებთან
შეხების მოელ ფრონტზე: მარტი — დმანისის განთავისუფლება; აპრი-
ლი — დარუბანდის ამირას დამარცხება და ქ. შაბურანის (კასპიისპირო-
შია) აღება; მაისი — სომხითის ციხეების განთავისუფლება; ივნისი —
რეილი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ ბასიანისა და სპერის მიმართუ-
ლებით; აგვისტო — სომხეთის ყოფილი დედაქალაქის, ანისის განთავი-
სუფლება, შემოდგომა — სრულიად შირვანის დაკავება და შემორთება.



ხარართვილოს სამიზო დავით აღმაშენებლის ხანაში

1 — სამეფოს ტერიტორია 1089 წ.; 2 — დავითის სამიზობელოების საზღვარი
1125 წლის სოფის.

1125 წ. — დემეტრე I (1125—1156) ამარცხებს საქართველოზე
წამოსულ ერაყის სელჩუკებს და იბრუნებს დმანისს, რომელსაც დაფიქცია
აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მუსლიმები დაეპატიალ-
ნენ.

1126 წ. — ქართველებმა მოარბიეს თურქების მფლობელობაში
მყოფი ქ. დვინი სომხეთში.

1130 წ. — დემეტრე I ამარცხებს სამხრეთ სომხეთის მფლობელ
მაპმადიან ფეოდალებს.

1138 წ. — დემეტრემ განჯაზე გაილაშქრა და გამარჯვების ნიშ-
ნად საქართველოში წამოიღო ქალაქის რკინის კარები, რომელიც დღეს
გელათის მონასტერშია დაცული.

1156 წ. — გიორგი III-მ (1156—1184) დალაშქრა აშორნის ოლ-
ქი მდ. არეზზე, რომელიც სამხრეთ სომხეთის მფლობელი თურქული დი-
ნასტიის — შაპარმენების ხელში იყო.

1161 წ. — გიორგი III ანისთან სასტიკად ამარცხებს შაპარმენ სუ-
ქმან II-ისა და მისი მოკავშირეების 40-ათასიან ლაშქარს. მუსლიმთაგან
მოკლული იყო 7000 მეომარი, ტყვედ ჩაეარდა 2 ათასზე მეტი.

1162 წ. — ქართველები მცირე ხნით იყავებენ ქალაქ დვინს.

1163 წ. — აზერბაიჯანის მფლობელი ათაბაგი ილდენიზი, ერაყის
სელჩუკებისა და შაპარმენის მხარდაჭერით, 50-ათასიანი ჯარით იღებს
გაგის ციხეს (ახლანდ. წითელ ხიდთან) და დიდ ბრძოლაში ამარცხებს
გიორგი III-ს.

1165 წ. — გიორგი III-მ სამაგიეროს გადახდის მიზნით მოაოხრა
ილდენიზის სამფლობელოები განჯამდე. საერთოდ, ამ პერიოდში ქართ-
ველთა მარბიელი რაზმები უწევენ არეზის შესართავამდე, არარატის
მთამდე, ყარსამდე...

1167 წ. — გიორგი III ლაშქრობს კასპიისინერეთში შირვანშაპის
დასახმარებლად, რომელსაც ავიწროვებდა დარუბანდის ამირა. ქართვე-
ლები იღებენ ქ. შაბურანს.

1175 წ. — მუსლიმთა გაერთიანებულმა ძალებმა (ილდენიზი, ერა-
ყის სელჩუკები, შაპარმენი და სხვ.) წარმატებით დალაშქრეს ჯავახეთი.
ხელთ იგდეს დიდი ნადავლი და მრავალი ტყვე.

1177 წ. — გიორგი III-ის დასამხობად აჯანყებას აწყობენ მდინარეთა
შეისწული დემინა ბატონიშვილი და ამირაპასალარი იქანე რბელი. ჰუთიშვილი
ყებულთა ძალები 30000 კაცს აღწევდა, მაგრამ მეფის ერთგულმა ლაშ-
ქარმა გაფანტა მეამბოხენი და ოილო მათი მთავარი საყრდენი — ლორეს
ციხე. მეფემ აჯანყების შოთავები სასტიკად დასაჯა.

1184—1213 წწ. — თამარის მეფობა.

1184—1185 წწ. — ქართველები იგერიებენ თურქების მარშიელ
თავდასხმებს პალაკაციოსა (ახლანდ. ჩილდირის ტბის მიდამოები) და
შავშეთ-კლარჯეთის მხარეებზე.

1185 წ. — თამარის პირველი ქმრის, გიორგი რუსის მეთაურობით
ეწყობა ლაშქრობა ყარსის მიმართულებით.

1186—1187 წწ. — ქართველთა ლაშქრობები დვინზე, ბაილაყანზე,
არეზისირეთში.

1191 წ. — დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა აჯანყება ცენტრა-
ლური ხელისუფლების წინააღმდეგ გიორგი რუსის ტახტზე დაბრუნების
საბაბით (აჯანყების ნამდვილი მიზეზი უნდა ყოფილიყო ლიხსიქითელი
დიდებულების უკამაყოფილება იმითი, რომ დედაქალაქის ქუთაისიდან
თბილისში გადმოტანის შემდევ შემცირდა მათი გავლენა სამეფო კარზე).
ორ კოლონად გაყოფილი მეამბოხები თბილისისაგნ დაიძრნენ. როგორც
ჩანს, დედაქალაქზე იერიშის მიტანას ისინი აპირებდნენ ჩირდილო-დასავ-
ლეთიდან და სამხრეთიდან ერთდროული დარტყმებით. მაგრამ თამარის
ერთგულმა რაზმებმა ორ შეტაკებაში დაამარცხეს სამხრეთის კოლონა,
რის შემდევ დანარჩენი მეამბოხენი იძულებული გახდნენ პატიება ეთხო-
ვათ. გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს.

1192—1193 წწ. — ქართველთა ლაშქრობები ბარდავსა და არზ-
რუმზე.

1193 წ. — გიორგი რუსი ილდენიშიანთა ხელშეწყობით კამბეჩანში
შემოიჭრა და ქვეყნის დარბევას შეუდგა, მაგრამ მწარე დამარცხება იგე-
მა და სამუდამოდ გადაიხვეწა.

1193/94 წ. — ქართველებმა დალაშქრეს რანი (მტკვარსა და არე-
ზის ქვემო დინებას შორის) და განჯასთან ბრძოლაში გამარჯვება
მოიპოვეს.

1195 წ. — ილდენიზიანთა სახელმწიფოში ატეხილი შინაომის შე-
დეგად ოთაბაგობა ხელთ იგდო აბუ ბაქრმა, რომლის დამარცხებულება
ძმამ, ამირ მირანმა საქართველოს სამეფო კარს სთხოვა მფარველობა.
ვინაიდან ილდენიზიანთა სახელმწიფო საქართველოს ძევლი მოწინააღ-
მდეგე იყო, თამარმა ამირ მირანს დახმარება აღუთქვა და ორივე მხარემ
ომის თადარიგი დაიტირა. ქართველებს სარდლობდა თამარის მეუღლე
დაივით სოსლანი, ილდენიზიანთა ლაშქარს — აბუ ბაქრი. გადამწყვეტი
ბრძოლა მოხდა 1 ივნისს, ქ. შაქერორთან და ქართველთა სრული გა-
შარჯვებით დავირგვინდა. აბუ ბაქრი გაიქცა. ქართველებმა ხელთ იგ-
დეს დიდი ნადავლი და 12000 ტუკი. ამ ბრძოლის შემდეგ ილდენიზიანთა
სახელმწიფო საქართველოსათვის სერიოზულ სამხედრო მოწინააღმდეგეს
აღარ წარმოადგენდა.

1196—1203 წწ. — ქართველები იპყრობენ ილდენიზიანთა სამ-
ფლობელოებსა და ვასალურ პოლიტიკურ ერთეულებს ჩრდილო სომხე-
თში: ამბერდსა და გელაქენს (1196 წ.), ანისს (1199 წ.), ბიჯინისს
(1201 წ.), დვინს (1203 წ.).

1202 წ. — რუმის სელჩუკთა სულთანმა რუქ აღ-დინ სულეიმან-
შაჰ II-მ საქართველოს ომი გამოუცხადა და მრავალრიცხოვანი არმიით
არზრუშის მახლობლად ბასიანის ველზე დაბანაკდა. ქართველებმა სას-
ტრაფოდ შეკრიბეს ლაშქარი, დაივით სოსლანის სარდლობით 27 ივნისს
მოულოდნელად დაეცენ მტრის ბანაკს და ბრწყინვალე გამარჯვება მო-
იპოვეს. რუქ აღ-დინმა გაქცევით უშველა თავს.

1204 წ. — თამარ მეფემ დასავლეთ ქართული სამხედრო ფორმირე-
ჲბი გაგზავნა ბიზანტიის შავიზღვისპირეთის პროვინციათა დასაკავებლად.
ქართველებმა აიღეს ტრაპიზონი, სინოპი, ამასტრიდა, პერაკლეა და სხვა
ქალაქები. დაყრობილ ტერიტორიებზე შეიქმნა საქართველოს პოლი-
ტიკური გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის იმპერია.

1205 წ. — არღავლის (სამხრეთ აზერბაიჯანში) გამგებელი აღდ-
გომა დღეს თავს დაესხა ანისს, გაძარცვა ქალაქი და მისი 12000 მცხოვ-
რები გაულითა. პასუხად ქართველებმა აიღეს არდაველი და გამგებელი
სიკვდილით დასაჯეს.

1205—1207 წწ. — ლაშქრობები შაპარმენთა სახელმწიფოში: ქარ-
თველებმა მიაღწიეს მანასეერტს, შემდეგ არჭეშს (ვანის ტბასთან), მაგრამ
შეპარმენმა მუპამედმა არზუმის ამირას დახმარებით ეს თავდასხმა მო-



ეგერია (1205 წ.); ქართველებმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს შაპარმენთა არქეზის მიერთებით მდებარე სამფლობელოების დაპყრობა. 1206—1207 წლებიში ქართველები კვლავ ლაშერობენ არეზის სამხრეთით, ვანის ტბის მიდამოებში.

1208 წ. — შაპარმენთა სახელმწიფოს ტერიტორია ხელთ იგდეს ევგიიტე—სირიისა და ჩრდილო მესოპოტამიის მფლობელმა აიუბიანებმა. პასუხად ქართველები კვლავ ლაშერობენ ვანის ტბის მიმართულებით და იყავებენ ქ. არჭიშეს.

1210 წ. — ქართველებმა ალყა შემოარტყეს ქ. ხლათს, რომელიც აიუბიანთა მთავარ საყრდენს წარმოადგენდა სომხეთში, მაგრამ ქართველი სარდლის, ივანე მხარგრძელის ტყვედ ჩავარდნამ მოწინააღმდეგეთა დაზავება დააჩქარა. საქართველოს სამეფოსა და აიუბიანთა სამფლობელოებს მორის საზღვარი მდ. არეზზე დაიდო.


1210 წ. — ქართველებმა ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის სარდლობით წარმატებით ილაშერეს ირანში. აიღეს აშერბაიჯანისა და სპარსული ერაყის ცნობილი ქალაქები — მარანდი, თავრიზი, უჯანი, მიანე, ზენჯანი, ყაზვინი და სხვ. მიაღწიეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს — ხორასანსა და გორგანს.

1212 წ. ახლოს — ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ აჯანყებული მთიელების — ფხოველებისა და დიდოელების დამარცხება სამეფო ჯარების მიერ.

1214—1215 წწ. — გიორგი IV ლაშას (1213—1222) ლაშერობები ილდენიზიანთა სამფლობელოებში: ვანჯის ალყა, ნახშეევანის მიმდგომი ციხეების აღება, შამქორის შემოერთება. ამავე პერიოდში ათბაგმა უზებეგ ილდენიზიანმა დალაშერა სომხური ხაჩენი (ახლანდ. მთიანი ყარაბაღი), რომლის მფლობელები საქართველოს ერთგულობდნენ.

1219 წ. — რომის პაპის თხოვნით, საქართველო მზადაა ჩაეტას ჯვაროსნულ ომებში. იგეგმება 40-ათასიანი ჯარით სირიაში გალაშერება.

1220 წ. — ამიერკავკასიის საზღვარებთან მოულოდნელად გამოჩნდნენ მონღოლები, რამაც მთლიანად შეცვალა საქართველოს სამეფო კარის გეგმები. მონღოლმა სარდლებმა სუბუდაი-ბაპალურმა და ჯებე-ნო-



3. კონტროლი ანგაბაზე

საქართველო რამარ მაჯის სანაში

- 1 — საქართველოს საზღვარი 1213 წლისთვის;
- 2 — სევა სახელმწიფო საზღვრები;
- 3 — საქართველოს დამოუკიდებული ქვეყნები და გველენის საცენტრო საზღვრები;
- 4 — საქართველოს სამხედრო-პლატიური ქტონის ქირითილი მიმართულებები.

ინმა, რომლებიც თავისი მბრძანებლის, ჩინგის-ყაუნის დავალებით დასა-
ვლეთის ქვეყნების ბრძოლით დაზვერვას აწარმოებდნენ, არეზი გაფრთხოების
ლახეს და ქართველთა 10-ათასიანი რაზმი დამარცხეს; რის შემდეგ,
კვლავ სამხრეთ აზერბაიჯანში დაბრუნდნენ.

1221 წ. — სუბულა და ჯებე 20-30 ათასი მეომრით კვლავ წა-
მოვიდნენ საქართველოს წინააღმდეგ. გიორგი ლაშა მათ 60000 კაცით
შეეგება მდ. საგიმის (ძეგამი) ნაპირზე. ცხარე ბრძოლაში მონღლოლებ-
მა ქართველები საფარში შეიტუშეს და დამარცხეს. მიუხედავად ამისა,
მონღლოლთა სარდლებმა ვერ გაბედეს საქართველოში ღრმად შემოჭრა, გა-
ტრიალდნენ და გეზი ჩრდილო კავკასიისაკენ აიღეს.

1222 წ. — დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში შემოვიდა მონღო-
ლთაგან ოტებული ყივჩაყთა ურდო, რომლის ბელადებიც მაღე განჯის-
გამგებლის, ქუშხარას სამსახურში ჩადგნენ. ქუშხარამ (იგი ილდენიშიან
ათაბაგს ემორჩილებოდა) ყივჩაყები საქართველოს საზღვრებთან დაასა-
ხლა, საიდანაც მათ ქართული მიწების რბევას მიჰყევეს ხელი, მაგრამ რამ-
დენიმე შეტაკების შემდეგ სასტიკად იქნენ დამარცხებულნი ივანე მხარ-
გრძელის მიერ.

1222 წ. — ქართველებმა ააოხრეს ილდენიშიანთა ქალაქი ბაილაყა-
ნი (მდებარეობდა მტკვრისა და არეზის შესაყართან, მილის ვაკეზე).

1223 წ. — სასაზღვრო მდინარე არეზზე მოხდა შეტაკება აიუბიანთა
ერთ-ერთ ვასალსა და დვინის ქართველ გამგებელს შორის. ქართველები
დამარცხდნენ, მაგრამ მშეიდობა ორ სახელმწიფოს შორის მაღევე
აღდგა.

1225 წ. — ქართველთა წარუმატებელი თავდასხმა განჯაზე.

1225 წ. — მონღლოლთაგან ოტებულმა ხეარაზმშაპმა ჯალალ ად-
დინმა ირანის დიდი ნაწილის გაერთიანება მოახერხა. მან ბოლო მოუღო
ილდენიშიანთა სახელმწიფოსაც და 140000 კაცით საქართველოზე წა-
მოვიდა. ხეარაზმელებმა დვინი აიღეს. გარნისთან (ერევნის აღმოსავლე-
თით) მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელშიც ივანე მხარგრძელის
სარდლობით გამოსული ქართული ლაშქარი (სხვადასხვა ცნობით 30-დან
70 ათას მეომრამდე) სასტიკად დამარცხდა. მოკლული იქნა 4000 ქართ-
ველი.

1226 წ. — ჯალალ ად-დინი თბილისს მოადგა და 9 მარტს ადგილობრივი მაპმადინების დახმარებით ქალაქი აიღო. მომხდურებმა გვშავთავალი ლიტეს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ხეარაზმელებმა დაიპყრეს ავრეჭული სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი სხვა ქალაქი და ციხე. ასეთი მძიმე მარცხი ქართველებს „დიდი თურქობის“ შემდეგ არ ენახათ. იგი გამოწვეული იყო მორის ძალთა არასწორი შეფასებით, თავდაცვის ცუდი ორგანიზებითა და, რაც მთავარია, ქართულ სარდლობაში არსებული წინააღმდეგობებით.

1227 წ. — ქართველებმა ისარგებლეს ჯალალ ად-დინის აიუბიანებათან ომში ჩაბმით და უცარი თავდასხმით თბილისი გაათავისუფლეს. ხეარაზმშაპი თავისი მთავარი ძალებით კვლავ საქართველოზე წამოვიდა, შოლნისის მახლობლად დაამარცხა 40-ათასიანი ქართული ლაშქარი და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მოარბია. თბილისი ისევ ხეარაზმელთა ხელში აღმოჩნდა.

1228—1230 წწ. — ხეარაზმელთა თარეშის გაგრძელება საქართველოსა და სომხეთში, ვიდრე ჯალალ ად-დინი მონღოლებმა არ დაამარცხეს და იგი ლტოლვილი მოკლული იქნა ქურთი ყაჩაღების მიერ (1231 წ.).

1228—1231 წწ. შორის — რუმის სელჩუკთა სულთანმა ალა ად-დინ ქეიყობად I-მა სამხრეთ საქართველოში ილაშქრა და ქ. ოლთისი დაიპყრო.

1232 წ. — ალა ად-დინ ქეიყობადის ჯარები ამირა ქამიარის სარდლობით კვლავ შემოესინ საქართველოს და 30-მდე ციხე დააქციეს. დედოფალი რუსუდანი (1222—1245) იძულებული გახდა სელჩუკთათვის ზავი ეთხოვა.

1235-1242 წწ. — საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ვერც ამჯერად მოხერხსა თავდაცვის ორგანიზება. რუსუდანმა დასაქლეთ საქართველოს შეაფარა თავი, დიღებულები თავ-თავის ციხეებში იყვნენ ჩაკეტილნი. სპორადული წინააღმდეგობა, ცხადია, ეფექტური არ იქნებოდა. მონღოლები შვიდი წლის განმავლობაში არბევდნენ ქვეყანას, სანამ რუსუდანი იძულებული არ გახდა ელიარებინა მათი უზენაესობა და მორჩილების ნიშნად ხარკის გაღება და დამხმარე ჯარის გამოყვანა ეკისრა.

1243 წ. — ქართველები მონაწილეობენ მონღოლი სარდლის, ბაიჯუ-ნოინის ლაშქრობაში რუმის სასულთნოს წინააღმდეგ. 26 ივნისს,

ქოსედალთან ბრძოლაში სელჩუკთა მხედრობა განადგურებული იქნა. რუ-
მის სულთანმა ზავი ითხოვა და მონღოლთა უშენაესობა აღიარა. გვიპრიტიცა

1245 წ. — რუსულან დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მონღო-
ლებმა საქართველოს სამეფო რვა დუმნად (ტერიტორიული ერთეული,
საიდანც 10000 მეომარი გამოდიოდა) დაპყევს, რომელთა სათვეში ქარ-
თველი დიდებულები ჩააყინეს. დუმნებად დაყოფამ იარსება 1247 წლა-
მდე, როდესაც მონღოლთა მიერ საქართველოს მეფებად ერთდროულად
იქნენ დამტკიცებული რუსულის ვაჟი დავით VI ნარინი (1247-1293)
და გიორგი ლაშას ძე დავით VII ულუ (1247-1270).

1245-1256 წწ. — ქართული რაზმების მონაწილეობა მონღოლთა
ლაშერობებში ისმაილიტთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩრდილო ირანში.
ისმაილიტების მთავარი ციხე — ალამუთი მონღოლებს დანებდა 1256
წლის 15 დეკემბერს.

1246 წ. ახლოს — სირიელი თურქები ვინმე ყარახანის მეთაურო-
ბით თავს ესხმიან სომხეთში, მდ. არეზის სამხრეთით მდებარე ვალაშ-
კერტსა და სურმარის, რომლებიც რამდენიმე წლით აღრე მხარვრძე-
ლებმა წაართვეს მუსლიმ გამგებლებს. შანშე და ავაგ მხარვრძელებმა
30000 მხედრით გაილაშქრეს მომხდურთა წინააღმდეგ და გაანადგურეს
ისინი ვალაშკერტის მახლობლად.

1247 წ. ახლოს — მცირე აზიელი თურქები ტაოში შემოიჭრნენ
და ალყა შემოარტყეს ქ. ბანას. ტაოელთა დასახმარებლად 10000 მეო-
მრით დაიძრა სამცხის-სპასალარი ყვარცვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი და
ფიცხელ ბრძოლაში შემუსრა მტერი. მშესხებმა გაათავისუფლეს თურქთა
მიერ დაპყრობილი ოლთისი და ბუღათაყურის ციხე.

1247 წ. — ქართველი დიდებულების წარუმატებელი შეთქმულება
მონღოლთა წინააღმდეგ. ცოტნე დადიანის გმირობა.

1254-1256 წწ. — მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღ-
წერა. საქართველოზე შეწერილ სხვადასხვა ვალდებულება-გადასახადებს
შორის იყო სამხედრო ბეგარაც. მონღოლთა დასახმარებლად ქართველებს
უნდა გამოყენათ 90000 მეომარი (ფაქტობრივად ნაკლები გამოყავდათ).

1258 წ. — ულუ დავითი ქართული ჯარით ბალდაზე სალაშქროდ
გაპყვა პულაგუ-ყაენს, რომელიც მონღოლთა მიერ დაპყრობილი წინა
აშიის ქვეყნებს განაგებდა. თებერვალში ბალდადი იერიშით იქნა აღე-
ზული. არაბთა სახალიფოს ბოლო მოედო.

1259 წ. — მეცე დავით ნარინი მონღლოლთა წინააღმდეგ აჯანყდა. ჰულაგუ მის დასასკელად დიდ ლაშქარს აგზავნის არღუნის სარდლუმისტო მიზანის სისხლის მდვრელი შეტაკების შემდეგ, რომელშიც ორივე მხარემ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, დავით ნარინი ქუთაისში გადავიდა და თავი ლიხთომერეთის მეცედ გამოაცხადა. ამიერიდან დასავლეთ საქართველომ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა აღიღინა, მაგრამ ეს იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლის დასაწყისიც, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც ულუ დავითს დარჩა, კვლავინდებურად ილხანს (ამ ტიტულს ატარებდნენ ჰულაგუ და მისი მემკვიდრე ყაენები) ემორჩილებოდა.

1259 წ. — ქართველთა რაზმი მონაწილეობს ჰულაგუს მიერ სირიის ქალაქ ჰალების (ალექსო) აღებაში.

1260 წ. — ჰულაგუ-ყაენმა ულუ დავითი აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობით ეგვიპტელ მამლუქებთან საომრად დაიბარა. მეცე არ დაემორჩილა ილხანის განკარგულებას და აჯანყდა. ჰულაგუმ საქართველოში კვლავ არღუნი გამოგზავნა 20-ათასიანი ლაშქრით. ქართველ დიდებულთა უმრავლესობა არღუნს ეახლა. ულუ დავითთან დარჩა მხოლოდ სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი 8000 მეომრით. მეწინავეთა შეტაკებაში ახალდაბასთან (1,5 ათასი მესხი 6 ათასი მონღლოლის წინააღმდეგ) გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ მთავარი ძალებით ბრძოლაში გორის შენდარასთან (თანამედროვე ხაშურის რაიონში) მონღლოლებმა იმძლავრეს.

1261 წ. — არღუნი სამცხეში შეიჭრა, მაგრამ აჯანყებულთა მთავარი სიმაგრის — ციხისჯვარის აღება ვერ შეძლო. გარევეული დროის შემდეგ ულუ დავითი და სარგის ჯაყელი დამორჩილდნენ ილხანს და მანაც აპატია მათ „დალატი“, რათა ქართველებში ახალი მღელვარება არ გამოიწვია. ჰულაგუ ემზადებოდა ჩრდილოეთის მონღლოლურ სახელმწიფოსთან, — ოქროს ურდოსთან, — დიდი ომისათვის.

1261 წ. ახლოს — ოქროსურდოელ მომთაბარეთა ერთ-ერთმა ბელადმა, ალათემურმა, ბრძოლით გადაიარა საქართველო და რამდენიმე-ჯერ დაამარცხა ჰულაგუს რაზმები და მათი მოკავშირე ქართველი ფეოდალები.

1262 წ. — ჰულაგუ-ყაენი თავისი ჯარით, რომლის შემადგენლობაში შედის ულუ დავითის მხედრობაც, კასპიისპირეთში ოქროსურდოელ მონღლოლებს ეომება. ქართველებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შა-

პურანის ბრძოლაში, სადაც დამარცხდა ოქროსურდოელი მხედართმთვალი რი ნოღაი. ამის შემდეგ იღხანის ჯარებმა დარუბანდი აიღეს და მდ. ასეული გამდე წაიწიეს.

1265 წ. — ოქროს ურდოს ყაენმა ბერქემ თავი მოუყარა მთელ თავის ძალებს, 300000 მეომრით ამიერკავკასიაში შემოიჭრა და სასტიკად მოარბია მტკვრის მარცხენა სანაპირო კასპიის ზღვიდან თბილისამდე. ამ შემოსევის შედეგად გაუკაცრიელდა ალაზნისა და იორის ქვემოწელზე მდებარე აღგილები. მოისპო ქალაქები — რუსთავი, ხორნიაბუჯი და სხვ.

1266-1270 წწ. — კოველი შემოდგომიდან გაზაფხულმდე ულუ დავითი ქართული რაზმებით დგას თეთრ წყალზე (აღსუ), ოქროსურდოელთა შესაჩერებლად აკებული სიმაგრეების დასაცავად. დიდი ჯარის ხანგრძლივად ერთ აღგილზე ბანაგად დგომა, ეპიდემიური დავალების გაერცელების მიზეზი გახდა. მოარული სენისაგან გარდაცვალა მეცე დავითიც.

1269-1270 წწ. — საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ილხან აბალას წინააღმდეგ უჯანყბული მონღლოლი უფლისწულის თეგუდარის ლაშქარი.

1270 წ. — აბალამ ხორასანში დამარცხა შუა აზიის მონღლოლი მპრძანებელი — ჩაღათაელი ბორჯ-ხანი. ქართველები აბალას ძალების ავანგარდში იბრძოდნენ.

1272-1273 წწ. — თეთრი წყლის საზღვარს თავისი მხედრობით იცავს აღმოსავლეთ საქართველოს ახალი შეფე დემეტრე II (1271-1289), შემდგომში „თავდაღებულად“ წოდებული.

1274 წ. ახლოს — აბალა ყაენის 30-ათასიანი ლაშქარი შირამუნ და აღინაყ ნოინების სარდლობით ლიხთიმერეთს შეესია და ქუთაისი გაძარცვა.

1276 წ. ახლოს — შირამუნ-ნოინმა კვლავ დალაშქრა იმერეთი.

1277 წ. — იღხანის მხედრობა დამარცხდა ეგვეპტელ მამლუქებთან ბრძოლაში. მონღლოლთა ლაშქარში მყოფი 3000 ქართველიდან უმრავლესობა დაიღუპა.

1278 წ. ახლოს — ქართველები მონაწილეობენ იღხანის ლაშქრობში გილანელთა წინააღმდეგ ჩრდილო ირანში.

1280 წ. — მონღოლთა ახალი დამარცხება მამლუქებთან ომში. და-
ლუპა მრავალი ქართველი მეომარი.

1281 წ. — სირიაში ქ. ჰიმსთან მამლუქებმა ისევ სძლიერ მონღო-
ლებს. გმირულად მებრძოლი დემეტრე II ძლივს გადაურჩა სიკვდილს,
მაგრამ მისი 5 ათასიანი რაზმის დიდი ნაწილი განადგურდა.

1282 წ. — დემეტრე II ქართული მხედრობით მონაწილეობს მონ-
ღოლთა შორის ატეჭილ შინაომში.

1282 წ. — დასავლეთ საქართველოს მეფემ, დავით ნარინმა ტრა-
პიზონის იმპერია დალაშქრა, მაგრამ თვით ქალაქი ტრაპიზონი ვერ აიღო.

1288 წ. — დემეტრე II მონაწილეობს ილხან არღუნ-ყავენის და-
რუბანდისაკენ გალაშქრებაში.

1291-1292 წწ. — უფლისწული დავით დემეტრეს ძე ქართული
რაზმით მონაწილეობას იღებს მცირე აზიაში მონღოლთა წინააღმდეგ
მომზდარი აჯანყების ჩახშობაში.

1292 წ. ახლოს — ჩრდილო კავკასიიდან გადმოხვეწილმა და ილხა-
ნის სამსახურში შესულმა ოსთა სამხედრო რაზმებმა გორის ციხე დაი-
კავეს. ქართველმა ფეოდალებმა ალყა შემოარტყეს გორის და ძლიერ
შეავიწროვეს ოსები, მაგრამ მონღოლთა ჩარევამ დროებითი ზავი ჩა-
მოაგდო დაპირისპირებულ მხარეებს შორის. გორის ციხე ამჯერად ოსებს
დარჩათ.

1297-1311 წწ. — ანტიმონღოლური აჯანყება აღმოსავლეთ სა-
ქართველოში დავით VIII-ის (1293-1311) მეთაურობით. აჯანყების
მთავარი ბაზა მთიულეთში იყო. ილხანის ჯარებმა, მონღოლთა ერთგუ-
ლი ქართველი ფეოდალების დახშარებითაც ვერ შესძლეს აჯანყების ჩახ-
შობა. არავენისა და თერგის ხეობებში ბრძოლების დროს მრავალი მონ-
ღოლი გაწყდა. სამხედრო მოქმედებებმა „მოახრეს ქართლი უბორო-
ტესად“.

1299/1300 წ. — მონღოლთა თავდასხმა დასავლეთ საქართველო-
ზე.

1300 წ. — სირიაში მამლუქებმა კვლავ დამარცხეს ილხანის ჯა-
რი და დახოცეს მრავალი მონღოლი და ქართველი.



1301 წ. — მცირე აზიელი მომთაბარე თურქები ვინმე აზატ-მოსეს შეთაურობით მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში დაისახავთავა ტიკად მოარბიეს ტაა.

1302 წ. — აზატ-მოსე ისევ შემოიჭრა ტაოში დიდი ჯარით (მე-მატიანის ცნობით მისი ლაშქარი 60000 კაცს ითვლიდა). მომთაბარებს ნადავლის შოვნის იმედით მრავალი პინადარი მაპმადიანიც მოყვებოდა. ქართველები ამჯერად მომზადებულნი დაუხვდნენ მტერს. სამხრეთ-ქართული თემების ლაშქარმა (12000 შემომარი) სამცხის მთავრის, ბექა მანდატურთუხუცესის სარდლობით რამდენიმე ბრძოლაში გაანადგურა მომხდურები. თურქთა ნარჩენებმა გაქცევით უშეველეს თავს.

1303 წ. — ქართული რაზმები კვლავ მონაწილეობენ მონღოლთა ლაშქრობაში მამლუქთა წინააღმდეგ.

1306 წ. — ყავნმა ოლჯაითუმ ვილანში სალაშქროდ წაიყვანა მის სამსახურში დარჩენილი ქართული რაზმები და „ოვსნი გორს მსხდომნი“. გილანელებმა მნელად გასავლელ ადგილებში მედგარი ბრძოლა გაუმართეს ილხანის ჯარებს. მრავალი ქართველი დაიღუპა.

1312/13 წ. — ქართველების მონაწილეობა ოლჯაითუს მხედრობის მიერ მამლუქთა მფლობელობაში მყოფი სირიის ქ. რაპბას გარე-მოცვაში.

1314 წ. ახლოს — ქართველები ილხანის ჯარებს ეხმარებიან აჯან-ყებული მცირე აზიელი თურქების დამორჩილებაში.

1314-1346 წწ. — გიორგი V ბრწყინვალეს მეფობა.

XIV ს-ის 20-იანი წწ. — გიორგი მეფემ სამწლიანი ბრძოლით ოსთა რაზმები განდევნა გორიდან და ქართლის სხვა ციხეებიდან.

1329 წ. — გიორგი V-მ ლიხთიმერეთის სამეფო შემოიერთა. საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღდგა.

1335 წ. — გარდაიცვალა ყაენი აბუ საიდი და დაიწყო საილხანოს სწრაფი დაშლა. ძალაუფლება სახელმწიფოში ხელთ იგდეს მონღოლური სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლებმა — ჩიბა-ნიანებმა, ჯალაირებმა და სხვ. გიორგი V-მ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით, საქართველოდან გააძევა მონღოლთა რაზმები და ქვეყანას ფაქტობრივი დამოუკიდებლობა დაუბრუნა.

1338 წ. — საქართველოში ილაშქრა აზერბაიჯანის გამგებელმა პასან მცირე ჩობანიანმა.

1341 წ. — ქართველთა სამხედრო დახმარებით ტრაპიზონში გამეფდა იმპერატორ ალექსი II-ის ქალიშვილი ანა-ხუტლუ.

1342 წ. — პასან მცირეს აუჯანყდა საკუთარი ძმა მელიქ-აშრაფი. მათ შორის სამხედრო მოქმედებები საქართველოსაც შეეხო.

1358 წ. — არაბული ერაყის მფლობელმა უვეის ჯალაირმა აზერ-ზაიჯანი დაიპყრო. მის ხელთ აღმოჩნდა ილხანთა ყოფილი სამფლობელოების ცენტრალური ნაწილი. ჯალაირთა უზენაესობა აღიარეს ამიერ-კავკასიის გამგებლებმაც.

1360-1399 წწ. — ბაგრატ V დიდის მეფობა.

1361 წ. — ბაგრატ V-ს განუდგა სვანეთის საერისთავო. მეფემ დიდი ლაშქარი შეჰქარა და სამი მხრიდან შეუსია მეამბოხებს, დაიმორჩილა სვანეთი და შეიძყრო მისი ერისთავი ვარდანის ძე.

1361 წ. — სვანეთის კამპანია ახალდასრულებული იყო, როდესაც ცნობა მოვიდა სამცხეში თურქების შემოჭრის შესახებ. ბაგრატი 12000 რჩეული მხედრით მსწრაფლ დაიძრა სამხრეთისაკენ, გადალახა ფერსა-თის ქედი და მიეწია აღაფით დატვირთულ თურქებს, რომლებიც უკვე არეზის გაღმა გასულიყვნენ და თავი სამშეიდობოს ეგონათ. ქართველებმა მტერი გაანადგურეს.

სავარაუდოა, რომ თავდამსმელები იყვნენ სომხეთსა და მესოპოტამიაში მომთაბარე შავბატკნიანი ან თეთრბატკნიანი თურქმანები. (აღნიშნულ გაერთიანებათა სახელები წარმოდგება მათი დროშებიდან, რომლებზეც, შესაბამისად, შავი ან თეთრი ბატკანი იყო გამოსახული).

1370 წ. — მავერანაპრში (შუა აზიის ნაწილია) გაბატონდა გათურქებული მონღლოლი თემურ-ლენგი და დაიწყო დაპყრობითი ომები, რომლებიც მის სიკედლამდე (1405 წ.) გრძელდებოდნენ და მოიცეს მთელი შუა და წინა აზია, კავკასია, ჩრდილო ინდოეთი და აღმოსავლეთი ევროპა.

1373 წ. — საქართველოს შემოქსივნენ თურქები „ბაედარის ძის ხოსიას“ მეთაურობით. ქართველები ომში დამარცხდნენ. ბრძოლაში დაეცა „პროვინციის მეფე“ გიორგი ალასტანელი (ჩვენი აზრით, ბაედარის ძე

ხოსია უნდა იყოს სულთან უვეის ჯალაირის ერთ-ერთი ამირა, შავბზუ-
კინათა ტომების წინამძღვრი (პირამდებარებული ბაირამ-ხოვა).

1386 წ. — თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში.
სასტიკი ბრძოლა თბილისისათვის. დღი ზარალის ფასად თემურმა 21
ნოემბერს ქალაქი აიღო და ბაგრატ V დაატყვევა.

1386/87 წ. — ყარაბაღში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულ თე-
მურთან მყოფმა ბაგრატ V-მ მოჩვენებით ისლამი მიიღო და თემურმა
იგი 12000 ჩალათაელი მეომრის თანხლებით საქართველოში გამოუშვა.
სამშობლოში დაბრუნებულმა მეფემ თავისი ვაჟის, გიორგის დახმარე-
ბით თემურის მეომრები ამოწყვიტა.

1387 წ. — განრისხებული თემურ-ლენგი გაზაფხულზე საქართვე-
ლოში შემოიჭრა და ქვეყნის აოხრება დაიწყო, მაგრამ მალე უკან
გაბრუნდა, რაღაც ცნობა მიიღო ამიერკავკასიაში დარუბანდის მხრიდან
შინი მტრის, ოქროსურდოელი თოლთამიშ-ხანის შემოჭრის შესახებ.

1393-1407 წწ. — გიორგი VII-ს მეფობა.

1394 წ. — თემურ-ლენგი მტკვრის სათავეში, კოლას მინდორზე
დაბანაკდა, ოთხი სარდალი სამცხის ასაოხრებლად გაგზავნა, შემდევ კი
თვითონაც აიყარა და თრიალეთით არაგვის ხეობაში შეიკრა. სასტიკ
ბრძოლებში ორივე მხრიდან დიდაღის ხალხი გაწყდა, მაგრამ თემურმა
ვერ მოახერხა დარიალის ხელში ჩაგდება, რაც ამ ლაშერობის მთავარი
მიზანი იყო, და უკან დაიხია.

1398 წ. — თემურის ინდოეთში ლაშერობის დროს გიორგი VII-მ
ნახშევანთან დატოვებულ თემურის რაზმებს დაარტყა, გაფანტა ისინი
და ბლოკადისაგან იხსნა აღინჯას ციხე, რომელშიც მისი მოკავშირე,
უფლისწული თაპერ ჯალაირი იყო ჩაკეტილი.

1399 წ. — თოვლიან ზამთარში თემურ-ლენგი კახეთ-პერეთში შე-
მოიჭრა და ერთი თვის განმავლობაში აოხრებდა ამ მხარეს. სპარსელი
ისტორიკოსის ცნობით, უხეად დალვრილი სისხლისაგან მიწაზე თოვლი
ლალისფერი გახდა. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სამარყანდელი მბრძანებლის
მეოთხე შემოსევა.

1400 წ. — მეტუთე შემოსევა, კიდევ უფრო მასშტაბური: მას შემ-
დევ რაც გიორგი VII-მ მოჩიდებაზე უარი განაცხადა, თემური უზარ-

მაჟარი არმიით წამოვიდა საქართველოზე. დაამარცხა ქართული ლაშე-
ქარი, იერიშით აიღო კობილისი და მთელი შევიდი თვის განმავლობაში ჩატარდა
ველური ენერგიით აოხრებდა ქვეყანას — დაარბია ქართლი, გადავიდა
სამცხეში, მოუბრუნდა არავის ხეობას და იქიდან კოლას გავლით ტაო-
მდე ჩააღწია. ამ ლაშერობის შედეგად ჩაღათაელებმა 60000 ტყვე წაყუ-
ვანეს საქართველოდან.

1400 წ. — თემურის წასვლის შემდეგ გიორგი VII-მ ლიახველ
დევალებზე გაიღაშერა და ჩაახშო მათი ანტიფეოდალური აჯანყება.

1402 წ. — თემურმა დაარღვია ქართველებთან დადებული ზავი:
ბრძოლით აიღო თორთუმის ციხე, მისი მცველები გაულიტა, ხოლო ცი-
ხესიმაგრე ძირფესვიანად დაანგრია. ეს იყო მეექვსე შემოსევა.

1403 წ. — თემურ-ლენგი მეშვიდეჯერ მოვიდა საქართველოში,
რბეგა-თარეშით გადაიარა ქართლი (ამასთან ისტორიკოსები საგანგებოდ
აღნიშნავენ ჩაღათაელთა მიერ ბირთვისის ძლიერი ციხის აღებას) და
იმერეთში შეიჭრა, სადაც შეიდასამდე დასახლებული პუნქტი მოსპო.
ქართველები მტერს ყველან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მსხვერ-
პლი აურაცხელი იყო, ომს ბოლო არ უჩინდა. თემური დარწმუნდა, რომ
საქართველეს იგი ვერ დაიპყრობდა, ქართველებიც სისხლისაგან იყვნენ
დაცლილნი. ამიტომ, მოწინააღმდეგებს შორის დაიდო ზავი, რომლის
პირობითაც გიორგი VII-მ ფორმალურად აღიარა თემურ-ლენგის უზე-
ნაესობა.

1405 წ. — თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ გიორგი VII არ-
ბევს ნახტევნის, განჯის, ანისისა და არზრუმის სანახებს. თემურის შვი-
ლიშვილმა მირზა ომარმა 15-ათასიანი ლაშქარი დაძრა ქართველების-
წინააღმდეგ, მაგრამ მეფე ვიორგი 5000 მეომრით მოულოდნელად თავს
დაესხა თემურიანთა ბანაკს და გამარჯვება მოიპოვა. ბრძოლა მოხდა
ალათალის მთებში, სადაც ადრე იღანი შემანების საზაფხულო სადგომი იყო.

1407 წ. — იზრდება შავბატქნიანი თურქმანების ძლიერება. მათ-
თან ბრძოლაში ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს. გიორგი VII
ბრძოლის ველზე დაეცა.

1412 წ. — საქართველოს მეფე კონსტანტინე I (1407-1412) 2000
მეომრით დაძრა შირვანშაჲ იბრაჲიმის დასახმარებლად, რომელსაც
შავბატქნიანთა ბელადი ყარა-იუსუფი ემუქრებოდა. მტკვართან ბრძო-
ლაში მოკავშირეები დამარცხდნენ. შირვანშაჲი თავისი ამაღლითა და მე-



1412-1442 წწ. — ალექსანდრე I დიდის მეფობა.

1412 წ. — ოდიშის მთავარმა მამია დადიანმა აფხაზეთს გაილაშქ-
რა, მავრამ ბრძოლაში დამარცხდა და მოკლული იქნა.

**1414 წ. — ალექსანდრე I ჯარით ლიხთიმერეთში გადავიდა და
თვითნებურად მოქმედი მთავრები დაიმორჩილა.**

1414/15 წ. — მეფე კოხტასთავს შეება გამდგარ ივანე სამცხის
ათაბაგს, დაამარცხა იგი და საათაბაგოს ციხეები დაიკავა.

1416 წ. — ყარა-იუსუფ შავბატყნიანი სამცხეში შემოიჭრა და
ახალციხე დაარბია.

1429-1437 წწ. — შავბატყნიანთა სახელმწიფო დალაშქრა თემურ-
ლენგის ძემ, სულთანმა შაპრუხმა. მისი წასვლის შემდეგ ყარა-იუსუფის
შეკილებს შერის ატყდა შინაომი. შექმნილი სიტუაციით სარგებლობს
ალექსანდრე I და ააქტიურებს საგარეო პოლიტიკას.

1431 წ. — მეფე ალექსანდრემ ლორეს ციხე წაართვა თურქმანებს.

1434 წ. — ალექსანდრემ საქართველოს შემოუერთა სომხური პრო-
ვინცია სივნიეთი (სიუნიკი).

1437 წ. — ალექსანდრე I-მა ყარაბაღი მოარბია.

1440 წ. — შავბატყნიანთა სახელმწიფო კვლავ გაძლიერდა. მისი
მპრანებელი ჯაპანშავი საქართველოში შემოიჭრა, აიღო სამშეილდე და
თბილისი, სასტიკად გაუსწორდა მოსახლეობას. ამ ლაშქრობაში მონა-
წილეობას იღებდა აგრეთვე არდაველის შეიხი იბრაჰიმ სეფიანი.

1444 წ. — ჯაპანშავმა დალაშქრა ახალციხე.

1447 წ. — შინაომი სამცხეში. ათაბაგი აღმუღა დაამარცხა და
განდევნა მისმა ძმისწულმა ყვარყვარემ. მეფე გიორგი VIII (1446-1476)
ჯარით სამცხეში ჩავიდა, ყვარყვარე გადააყენა და ტახტი ისევ აღმუღას
დაუტრუნა.

1451 წ. ახლოს — თურქ-ოსმალების ფლოტმა (50 კატარლა) სა-
ქართველოს სანაპიროზე დესანტი გაღმოსხა და ქ. ცხუმი მოარბია. გი-
ორგი მეფემ გაილაშქრა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ვეღარ ჩაუსწრო.

1453 წ. — ოსმალთა სულთანმა მეტმედ 11-მ ბრძოლით აიღო კონ-
სტანტინოპოლი და ზოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას. საქართველოს მეტ-
ტობრივად, გადაეცეტა ქრისტიანულ ევროპასთან დამაკავშირებელი
გზა.

1456 წ. — ქართლი ააოხრა თეთრბატყნიანთა თურქმანული გა-
ერთიანების წინამძღოლმა უზუნ-პასანმა.

1459-1461 წწ. — საქართველოს მეფე-მთავრების მიმოწერა და-
სავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებთან ოსმალეთის წინააღმდეგ
ერთობლივი სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ, კონსტანტინო-
პოლის განთავისუფლების მიზნით. გიორგი VIII და მისი ვასალები
(სამცხეის ათაბაგი, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები) საერთო ჯავში-
70 ათასზე მეტი მეომრის გამოყვანას კისრულობდნენ. მათთან კავშირ-
ში იმყოფებოდა ტრაპიზონის იმპერიატორი დავითი 20000 კაცითა და
30 ხომალდით და სამი მაპალიანი მფლობელი (მათ შორის უზუნ-პასა-
ნიც). მაგრამ კოალიცია ვერ ჩამოყალიბდა. დასავლეთის სახელმწიფოე-
ბი დანტერესებულნი არ იყვნენ ოსმალებთან ძხელი ომის დაწყებით
და თვით აღმოსავლელ მოვაჭირებს შორისაც არ იყო რეალური
ერთობა.

1461 წ. — ოსმალებმა ტრაპიზონის იმპერია დაიბურეს.

1462-1463 წწ. — გიორგი VIII-ს აუჯანყდნენ ძლიერი ვასალე-
ბი — იმერეთის ერისთავი ბაგრატი და ყვარყვარე ათაბაგი, რომელსაც
უზუნ-პასანი უმაგრებდა ზურგს. ჩიხორის ბრძოლაში (1463 წ.) ბაგ-
რატმა მეფის ლაშეარი დაამარცხა.

1464 წ. — ყვარყვარე ათაბაგმა კახაბერ გურიელს აჭარა-
და ჭანეთი დაუთმო და სამაგიეროდ მისი ლაშეარი გამოიყენა სამხრეთ
საქართველოს საერისთავოების დასამორჩილებლად.

1465 წ. — გიორგი VIII ყვარყვარეს წინააღმდეგ გაემართა, მაგ-
რამ ათაბაგმა ფარავნის ტბასთან უეცარი თავდასხმით მეფე ტყვედ
ჩაიგდო.

1466 წ. — შექმნილი სიტუაციით ისარგებლა ბაგრატ ერისთავმა,
ქართლი დაიკავა და საქართველოს მეფედ გამოაცხადა თავი (ბაგრატ VI, 1466-1478), თუმცა, ფაქტობრივად, მას მხოლოდ ქართლი, იმე-
რეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი ეკუთვნოდა. ტყვეობიდან განთავი-



სუფლებული გიორგი VIII იძულებული გახდა კახეთს დასჯერებიდან გადა
როთოც დასაბამი მიეცა კახეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფას.

1467-1468 წწ. — უზუნ-პასანდა გაანადგურა და დაიპყრო შავბატ-
კნიანთა სახელმწიფო. ამის შემდეგ თეთრბატკნიანთა სამფლობელოები
მოიცავდნენ აზერბაიჯანს, სომხეთს, ყარაბაღს, მესოპოტამიას, არაბულ
ერაყსა და ირანის დიდ ნაწილს.

1472-1474 წწ. — უზუნ-პასანი ოსმალებს ეომება. თეთრბატკნი-
ანთა ლაშქარში ქართველებიც არიან.

1473 წ. — უზუნ-პასანი საქართველოს შემოესია და დიდი ნა-
დავლით დაპრუნდა თავრიზში.

1477 წ. — დაღიანი და გურიელი განუდგნენ ბაგრატ VI-ს, გადა-
იბირეს აფხაზებიც. ბაგრატმა დასავლეთში ილაშქრა, ცხენისწყალთან
ბრძოლაში დაამარცხა მთავრები და აიძულა დამორჩილებოლნენ მის
ხელისუფლებას.

1477 წ. — ბაგრატ VI კიდევ ლიხს იქით იმყოფებოდა, როდესაც
ქართლში უეცრად შემოიჭრა უზუნ-პასანი. ფადიშაპის ლაშქარი 20-24
ათას ცხენოსანსა და 11 ათას ქვეითს ითვლიდა. თურქმანებმა ვერ აიღეს
ორბეთის ციხე, მაგრამ უბრძოლველად დაიკავეს თბილისი და გორი.
ბაგრატ მეცემ შინააშლილობის გამო ვერ მოახერხა წინააღმდეგობის
გაწევა და უზუნ-პასანს დაუზავდა ხარკის გადახდის პირობით. ფადი-
შაპმა საქართველოდან 6000 ტუკე წასხა, თბილისში კი თავისი გარნი-
ზონი დატოვა.

1478 წ. — უზუნ-პასანის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატმა თბი-
ლისი დაიბრუნა. ქართლის საზღვრებში ჩამომდგარი მომთაბარე ტომე-
ბი თავადმა ბარათაშვილებმა დაარბიეს.

1478-1479 წწ. — გარდაცვალა ბაგრატ VI. მისმა შვილმა ალექ-
სანდრემ ვერ შეძლო ტახტის შენარჩუნება. ქართლსა და იმერეთში გა-
მეფდა ალექსანდრე დიდის შვილიშვილი კონსტანტინე II (1478-1505).
ალექსანდრე ბაგრატის ძე რაჭა-ლეჩიშვილი გამაგრდა.

1479 წ. — მესხებმა მოიგერიეს თურქების თავდასხმა.

1481 წ. — კონსტანტინე II-მ ვამიყ დაღიანის დახმარებით სამცხე-
საათაბაგოში ილაშქრა და მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტო-
რიები დაიპყრო.

1482 წ. — გარდაიცვალა ვამიკ-დადიანი და დასავლეთ საქართველოში კვლავ არეულობა დაიწყო. სმითი ისარგებლა სამცხის ათაბაგები და მეფის მიერ წართმეული მიწები უკან დაიბრუა.

1483 წ. — სოფ. არადეთთან (მდ. ფრონეს ნაპირზე) ყვარცვარე ათაბაგმა დამარცხა ქართლები ფეოდალები.

1484 წ. — არადეთის ბრძოლის შემდეგ ქართლის დასუსტებით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, ქუთაისი დაიკავა და მეფედ ეყურთხა (ალექსანდრე II, 1484-1510). ასე მიეცა დასაბამი იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბებას.



საქართველოს სამეფოს დაშლა XV ს-ის მეორე ნახევარში
1 — საქართველოს სამეფოს საზღვარი XV ს-ის შეუ ხანებში; 2 — საქართველოს სამეფოს დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების საზღვრები; 3 — იმერეთის სამეფოში შემავალი ვასალური სამთავროების საზღვრები.

1486 წ. — თეთრბატყნიანთა სულთანმა იაჟუბ-ფადიშაპმა სამცხე-ში ილაშქრა, მძიმე ბრძოლით პილო და გადაწვა ახალციხე, დაარბია ახალქალაქი და აწყური. თურქმანთა ერთი რაზმი ქვემო ქართლში შემოიჭრა, მაგრამ ბარათაშვილებმა გაწყვიტეს მომზდურნი.

1487 წ. — კონსტანტინე II-მ იმერეთს გაიღაშერა და ლიპარიტ
დადიანის დახმარებით ალექსანდრე II-ს ქუთაისი წართვა. იმერეთში შეუძლებელი
ფეხ კვლავ მთას შეაფარა თავი.

1487 წ. — იაყუბ-ფადიშაპის სარდალი ხალილ-ბეგი ქართლის სა-
ზღვარზე ციხეებს აშენებს. პერმანენტული შეტაკებები ქართველებსა
და თურქმანებს შორის.

1488 წ. — ქართლში შემოიჭრა იაყუბ-ფადიშაპის ლაშქარი: მტერ-
მა ზარბაზნებით დაზიანდა და აიღო კოჯირის ციხე; მძიმე ბრძოლა თბი-
ლისისათვის. ქვემო ქართლში თურქმანთა დიდი რაზმის განადგურების
შემდეგ, თბილისთან მდგარი ყაენის მხედრობა აიყარა და უკან გაბრუნდა.

1489 წ. — ქართლში თეთრბატყნიანთა შემოსევით ისარგებლა
ალექსანდრე II-მ და კვლავ დაუუფლა იმერეთის ტახტს.

1489 წ. — თურქმანთა თავდასხმა სმცხეზე.

1490 წ. — ქართლის მეფე კონსტანტინე II თავის წარჩინებულ-
თა რჩევით შეურიგდა საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტს და
ფორმალურად აღიარა კახეთის და იმერეთის სამეფოებისა და სამცხის
სამთავროს დამოუკიდებლობა.